
ეფსკრელნაგები
ჰანგები
იკა ქადაგიძე

ი კ ა ქ ა დ ა გ ი ძ ე

უ ფ ს კ რ უ ლ ნ ა გ ე ბ ი ჰ ა ნ გ ე ბ ი

თ ბ ი ლ ი ს ი
2009 წ ე ლ ი

ეძღვნებათ ჩემ შვილებს შალვას და დიანას

დიდ მადლობას ვუხდი დედა ნინო (გრიგოლაძეს)
გაწეული დახმარებისათვის.

© იკა ქადაგიძე, თბილისი 2010
დაბეჭდილია შპს "თობალისში"

ISBN 978-9941-405-87-7

წინასიტყვაობა

(იკა ქადაგიძის კრებული “უფსრკულნაგები ჰანგები”)

ახალთაობის პოეტებს შორის იკა ქადაგიძე ერთ-ერთი გამორჩეულია თავისი ნიჭიერებით, ეროვნული თუ მოქალაქეობრივი პოზიციით, ტრადიციებისადმი ერთგულებით (იქნება ეს ლიტერატურული, ზოგადად კულტურული თუ სხვა სახის ტრადიციები). მისი პოეზიის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა იმპერსონალურობისაკენ მიდრეკილება: იმგვარ ნაწარმოებებს, სადაც პირადული (პერსონალისტური) მომენტია წინწამოწეული. იკა იშვიათად წერს, ამდენად, იგი იდეის პოეტი უფროა, ვიდრე ყოფითი ინტიმისა, სუბიექტური ლირიზმისა. ზოგთათვის ამგვარი შემოქმედებითი პოზიცია ნაკლებად მისაღებია: ლირიკოსი პოეტისაგან (მითუმეტეს, თუ ის ქალია) რატომღაც მოითხოვენ, რომ ლექსში “წრფელად და შეუფარავად” გვესაუბროს თავისი ცოცხალ ადამიანურ შთაბეჭდილებებზე, ნაგრძნობ-ნაფიქრზე და ეს ყველაფერი რაც შეიძლება მეტი სინედლითა და არამწიგნობრული უშუალობით გამოხატოს პოეტურ ფორმაში, მაგრამ ამგვარი მოთხოვნა ზოგ შემთხვევაში თუ მართებულია, ზოგჯერაც სრულიად უსარგებლო გახლავთ: გააჩნია, როგორ პოეტურ ინდივიდუალობასთან გვაქვს საქმე, ერთი რეცეფტი ყველასთვის გამოსადეგი ვერ იქნება: მაგალითად, ტერენტი გრანელი მხოლოდ საკუთარ თავზე წერდა. თავისი “მე”-ს, თავისი პერსონის იქით არ იხედებოდა, არასოდეს უცდია პოეტური გარდასახვა, ნიღბებით თამაში, მეორეული გადამუშავება მწიგნობრული შთაბეჭდილებებისა. სხვა იყო გალაკტიონი: მის მრავალ ლექსში იმგვარ რეალიებს ვხედავთ, არანაირად რომ არ შეიძლებოდა ყოფილიყო მის ცხოვრებისეულად პირადულ, ემპირიულ გამოცდილებაში, მაგრამ ეს “კულტურალისტური”, “უცხო” მასალა იმპერსონალური ემოციის მეშვეობით ცოცხლდება ჩვენს წინაშე, პოეტის “მე” აქ თითქოს უჩინარდება, ან რაღაც უცხო ნიღაბს ირგებს: მსგავსი რამ ჩვეულებრივია იმპერსონალისტური ტიპის ნაწარმოებთათვის. იკა ქადაგიძეს აქვს ერთსტროფიანი უსათაურო ლექსი, რომელსაც აქ იმის მაგალითად მოვიყვან, თუ როგორი გადამდები ემოცია შეიძლება ახლდეს ლამაზ პოეტურ ფორმაში მოქცეულ წარმოსახვით ხატს, რომელიც ავტორის პიროვნულ გამოცდილებაში მხოლოდდამხოლოდ მწიგნობრული გზით შეიძლებოდა მოხვედრილიყო და არა უშუალოდ ყოფითი სინამდვილიდან:

“ახლა გავიგე, რა არის თურმე
ბედნიერება ქალის ძლიერის,
შემოგარიგებ გრაალს, მისტუმრე,
ოდეს შვას ქვიშამ დასალიერი.”

ძნელი სათქმელია, კონკრეტულად რა შინაარსია ამ სტრიქონებში ჩადებული, მაგრამ ფაქტია, რომ იგი ახერხებს განგვაცდევინოს რაღაც ამაღლებული და მშვენიერი: “გრაალი” საკრალურის, იდუმალის ასოციაციას აღძრავს, “გრაალთან შემორიგება” და “მისტუმრე” მონათესავე სულთან ღვთაებრივი ჰარმონიის დამყარების სიგნალი იყოს და ამ მოწოდებაში რაღაც არისტოკრატული სინატიფე და გრაცია ილანდება; “ბედნიერება ქალის ძლიერის” ცხადჰყოფს ლირიკული სუბიექტის, ქალის ერთგვარად “ამორძალურ” ბუნებას და ალბათ იქ ისაცაა სავარაუდო, რომ ის მეორე, მიმართვის ობიექტი, მამაკაცი უნდა იყოს; “ოდეს შვას ქვიშამ დასალიერი” – ეს თავისთავად მშვენიერი პოეტური ხატი, სივრცის უსასრულობის განცდას რომ აღგვიძრავს, ამავე დროს იკა ქადაგიძის შემოქმედების “მარად თანამდევ” მხატვრულ ფიგურას – “ქვიშას” წარმოგვიდგენს კიდევ ერთ ახალ კონტექსტში, ანუ სხვაგვარად, აქ თავისებური “ავტორემინისცენცია” თუ “ავტოალუზია” გვაქვს მოცემული:

“ქვიშა” იკა ქადაგიძის უამრავ ლექსში ფიგურირებს, მის პირველ პოეტურ კრებულსაც “ქვიშის ცხედარი” ჰქვია; მოთხრობაში “ზღვა და ქვიშა” ვეცნობით მშვენიერ ქალიშვილს, რომელსაც ქვიშისადმი რაღაც ზღვარგადასული ინტერესისა და სიყვარულის გამო “ქვიშის ასულს” ეძახიან. ეროვნული ბიბლიოთეკის ფორუმის (“ებლიტფო”) ხელმძღვანელის გიორგი კილაძის თხოვნით იკამ დაწერა მშვენიერი ესეი “ქვიშის მონოლოგი” და ამ ფორუმის საიტზე განათავსა ასე რომ, მას “ქვიშის მგოსანიც” შეიძლება ვუწოდოთ. (“ქვიშის ასულის” ანალოგიით)

იკა ქადაგიძე, რთული მეტაფორული აზროვნების პოეტია, ზოგჯერ მისი ლექსის თემატიკა (სათაურშივე მინიშნებული) მკითხველს წინასწარ განაწყობს გარკვეული ტიპის მარტივ, ადვილად აღსაქმელ მხატვრულ სამყაროსთან შესახვედრად, აღმოჩნდება კი სულ სხვა რამ – ლექსში რთული მეტაფორების კასკადი და აზრის რაღაცნაირი ალმაცერ-ინვერსიული, ლოგიკურ სიცხადეს მოკლებული განვითარება თითქოსდა უბრალო, “ნაცნობ” თემა-შინაარსს, სხვა პოეტებისგანაც მრავალგზის დამუშავებულს (გაკვეთილსაც კი) სრულიად ახალ რაკურსში წარმოგვიჩენს და იმგვარ ესთეტიკურად ამაღლებულ, მეტაფიზიკურ მხატვრულ რეალობას გვაზიარებს, რაც თითქოსდა ამგვარი მასალით ოპერირებისას ნაკლებად მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო. ამ ტიპის ლექსებიან “ქართული მზერა”, “ქართული სული”, “მირიან” და სხვა. ისეთი სათაური, როგორიცაა “ქართული მზერა”, რა თქმა უნდა, წინასწარ განგვაწყობს პატრიოტულ თემასთან შესახვედრად. დღევანდელ ლიტერატურულ (და არამარტო ლიტერატურულ საზოგადოებაში ამ თემისადმი ორი პოლარულად ურთიერთსაპირისპირო დამოკიდებულება არსებობს: არიან ე. წ. “ტრადიციულ – პატრიოტული” ცნობიერების ადამიანები, რომელთაც ამ ახალ, ყველაფრის გამაუფასურებელ და გადამფასებელ ეპოქაში რეალობის გრძნობა დაკარგული აქვთ. ისინი ხშირად პროფანირებულ მითოსურ წარმოდგენებში თავშეფარებულნი და უმწეოდ თავდაჯერებულნი ცდილობენ ეროვნული სულიერების შენარჩუნებას, ეროვნულ ფასეულობათა დაცვას. რა თქმა უნდა, მათი ამგვარი “მოღვაწეობის” შედეგი დიდად თვალსაჩინო და არსებითი ვერ იქნება, ახალ დროებას ახალი გამოწვევები მოაქვს თან და მათზე ადეკვატური რეაგირებაა საჭირო; არიან მეორენი, უფრო “რეალისტები”, თითქოსდა უფრო ობიექტურად შემფასებელ-დამნახავნი თანამედროვეობის თავისებურებათა თუ მოთხოვნათა, მაგრამ ასეთებს ხშირად მეორე უბედურება სჭირთ – ნიჰილისტური დამოკიდებულება ეროვნული ფასეულობების მიმართ: ისინი, როგორც წესი, “მოწინავე დასავლური აზროვნების” იმიტირებით თვითგანმტკიცებას ლამობენ და ეროვნული არასრულფასოვნების კომპლექსისგან თავი რომ გაითავისუფლონ, მთელ ქართულ კულტურას, ისტორიას, როგორც გარკვეულ ფასეულობას, ცინიკურად აყენებენ ეჭვქვეშ, იქმნიან ილუზიას, რომ ამ “მეორეხარისხოვან”, “მარგინალურ” სივრცეში (“საქართველოს” წოდებულში) მხოლოდ თვითონ არიან გამონაკლისნი, სულიერ – ინტელექტუალური რჩეულნი ორივე ეს უკიდურესობა, რასაკვირველია, ჩვენი ქვეყნის მძიმე, კრიზისული მდგომარეობის ანარეკლია და არცერთ ამ ურთიერთსაპირისპირო პოზიციას არ ძალუძს კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანა – როგორც იტყვიან, “აღმართი და დაღმართიო არცერთია წაღმართიო”: ჭეშმარიტება სადღაც შუაშია და ამ ჭეშმარიტების მიკვლევას გაფაქიზებული ინტუიცია, ილუზიებისაგან თავისუფალი აზროვნება გნებავთ, ზედროული ხედვა სჭირდება ჰოდა, იმას ვამბობდი, როცა ლექსს სათაურად “ქართული მზერა” აქვს პირველი ტიპის მკითხველები (“პატრიოტები”) წინასწარ განეწყობიან ამგვარი ნაწარმოების მიმართ დადებითად (თუნდაც ის მხატვრულად სუსტი იყოს), ხოლო მეორენი (“კოსმოპოლიტები”) სათაურიდანვე აითვალწუნებენ და ალბათ წაკითხვასაც არ იკადრებენ; ავტორისათვის მაინც პირველი ტიპის მკითხველი სჯობს, თუმცა საეჭვო კია, ამ მკითხველმა ისეთი ლექსის ჭეშმარიტი ღირებულება შეიცნოს, როგორიცაა იკა ქადაგიძის “ქართული მზერა”: იგი

ჩვეულებრივი პატრიოტული ლირიკის თუნდაც საუკეთესო ნიმუშებისაგან არსებითად განსხვავდება – არც სახოტბო ტიპისაა, არც ილიას “ბედნიერი ერის” მსგავსად სატირული ხასიათისა; აქ რაიმე ცხადად გამოკვეთილი, აზრობრივ – ლოგიკურად ჩამოყალიბებული სათქმელის ძებნას ამაოდ ვეცდებით, როგორც ეს იმავე ილიას “ელეგიის”, მ. ლებანიძის “უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთის”, ლ. ასათიანის “სალაღობოს”, ა. კალანდაძის “საქართველო ლამაზოს” და ა. შ. შემთხვევაში არის შესაძლებელი; მე საგანგებოდ დავასახელე პატრიოტული ლირიკის კლასიკური ნიმუშები, რათა მათ ფონზე უფრო ცხადი გახდეს ის თავისებურება და განსხვავებულობა, რაც იკა ქადაგიძის “ქართულ მზერას” ახასიათებს. თუმცა ჯობს, ჯერ მთლიანად გადმოვწერო ეს ლექსი და შემდეგ ვისაუბრო მასზე:

ქართული მზერა
გზა მოეც ისეთ უიღბლობის შემორკინებას
ლაშა-გიორგის ხმას რომ ჩრდილავს, ჰე, ჰამადავლე.
ძმარი შეასვი ლურსმნის ფერდზე გაკიდულ ნებას,
საკუთარ სიზმარს ჩონჩხის ყანწით შენ სანამ დალევ.
კიდურზე მშვიდად დრო მოგვწვდება გადაწვართული,
მტვრიან ქონგურზე მათრახები გულმშვიდად ავლენ,
ყველა ეპოქას მოინელებს მზერა ქართული,
მზის ფერხულს ქვიშად შემოაცვდი, ჰე, ჰამადავლე.
მე ისე მცხელა, უდაბნოთა კიჟინის ფერად
ჟამითი კარი უსასრულო ტალღებით განვვლე,
მამულის ძარღვი გადამექცა უხავსო წერად
შენ რომ გაკრთობდა უშორეს დღეს, ჰე, ჰამადავლე
გზა მოეც ისეთ უიღბლობის შემორკინებას
რომ შიშსაც ხელი ვითა ფაფარს ისე წაავლე,
მზემ ლაშას მზერის სილურჯეში სვლა თუ ინება,
საუკუნენი აღმა დავლენ, ჰე, ჰამადავლე!

ამ ლექსის, თუ შეიძლება ასე ითქვას, “ირიბმეტყველებაში” ერთადერთი სტრიქონი ჩაითვლება ალბათ გამონაკლისად – “ყველა ეპოქას მოინელებს მზერა ქართული”, სხვა სტრიქონებში ასე პირდაპირ და ცხადად არ მეტყველებს, მაგრამ ამ მომენტის კონპენსირება ხდება ემოციის უზუსტესი მიზანმიმართული ზემოქმედებით: ლექსში აკუმულირებული ენერგიეს ნაკადი სათანადოდ განწყობილი მკითხველის განცდათა სამყაროს უღრმეს ფენებში, გულისგულში იჭრება: როგორც ჩანს, ყოველი მეტაფორა აქ ჩვენს ასოციაციათა ველში თავის სამიზნეს შეუმცდარად პოულობს და ამის შედეგად წარმოიქმნება ჰეროიკულ-დრამატული განცდა, ერთიანად რომ შეგძრავს. საინტერესოა რეფრენის “ჰე, ჰამადავლე” ზემოქმედების მექანიზმი: “ჰამადავლე” მიმართვის ობიექტია, ვიღაც “სხვაა”, რომელსაც ლირიკული სუბიექტი თავისი ისტორიულ-რეტროსპექტული ხედვისათვის ამ შემთხვევაში გამოსადეგი ისტორიული ფიგურის – ლაშა-გიორგის მხატვრულ სახეზე აპელირებით ეხმიანება; ეს ჰამადავლე სპარსელთა მსტოვარი ყოფილა, გრ. აბაშიძის რომან “ლაშარელაში” პერსონაჟად გამოყვანილი: ეს რომანი დიდი ხნის წინ მაქვს წაკითხული და აღარც მახსოვდა, მასში ასეთი პერსონაჟი თუ იყო (მოგვიანებით დავადგინე), მაგრამ ლექსის აღქმა-განცდაში ამ გარემოებას ოდნავაც არ შეუშლია ჩემთვის ხელი: “ჰამადავლე” მტრის ხატია, მაგრამ თუნდაც ასე არ იყოს, მაინც მისადმი, როგორც “სხვა”, გარეშე პირისა თუ დამკვირვებლისადმი მიმართვის პათოსში ვლინდება ლირიკული სუბიექტის სულიერი ჰაბიტუსი, მისი პოზიცია, დამოკიდებულება

ეროვნული თუ სულიერი ფასეულობებისადმი; სტრიქონებში “მამულის ძარღვი გადამექცა უხავსო წერად, შენ რომ გაკრთობდა უშორეს დღეს, ჰე, ჰამადავლე” თითქოს ეს მხატვრული სახე “უხავსო წერა” რაიმე კონკრეტულს არც მიგვანიშნებს, მაგრამ ძნელია არ იგრძნო ამ სიტყვების ტრაგიკულობამდე გამძაფრებული სულისკვეთება, რომელსაც მშვენიერი ტროპების სამოსელი მოურგია. მთელი ლექსი მსგავსი რთული ტროპებითაა სავსე და ყოველ მათგანში მძლავრი წნევა იგრძნობა. აქ თითქოს სიტყვები ერთგვარ ავტონომიურობას, თვითკმარობას იძენენ და აღარც კი საჭიროებენ ე. წ. გაშინაარსება-გაშიფვრას, აზრობრივ დაკონკრეტებას: რას ნიშნავს, მაგალითად, “საუკუნენი აღმა დავლენ, ჰე, ჰამადავლე!” არის კი გრამატიკულად სწორი ფორმა “აღმა დავლე?” მაგრამ ამ სტრიქონის პოეტური სიმშვენიერე უდავოა, თუნდაც უცნაურად მჟღერი შიგა რითმის (“აღმა დავლე – ჰამადავლე”) გამო; მსგავსი შიგა რითმაა აგრეთვე (“მშვიდად-გულმშვიდად”) სტრიქონებში “კიდურზე მშვიდად დრო მოგვწვდება გადაწვართული, მტვრიან ქონგურზე მათრახები გულმშვიდად ავლენ”.

სტრიქონში “ძმარი შეასვი ლურსმნის ფერდზე გაკიდულ ნებას” აშკარაა გოლგოთის მისტერიის ალუზია: მამულის ტრაგედია ქრისტიანულ ჭრილშია დანახული და შეიძლება ასედაც ითქვას – მამული ჯვარცმულ მაცხოვრად, ღმერთად არის აღქმულ-განცდილი ლირიკული გმირის მიერ

”ქართული მზერა” სულ ოთხ თოთხმეტმარცვლიან სტროფს მოიცავს, ანუ ზომით საკმაოდ მომცრო ლექსია, მაგრამ თავისი პათოსით, დრამატული ჰეროიკულობით, ტროპების მეტაფიზიკური ტევადობით, დროით-სივრცითი პერსპექტივის სიდიდით მონუმენტურობის ნიშნებს იძენს; ამ ფორმით უზადო და კომპაქტური, ამაღლებული სულიერებით დამუხტული ლექსით იმდენად მოხიბლული ვარ, რომ თავს ვერ ვიკავებ, შედევრად არ მოვიხსენიო იგი, თუმცა კი ვიცი, ლიტერატურულ საზოგადოებაში ამგვარი შეფასება გადაჭარბებად იქნება მიჩნეული, რადგან ამჟამინდელი გემოვნებისეული კონიუნქტურისათვის “ქართული მზერა” ალბათ მაინც ჩვეულებრივ ტრადიციულ, პატრიოტულ ლექსად აღიქმება და იქნებ მისმა მშვენიერმა მეტაფორებმაც “ძველმოდურობის” შთაბეჭდილება დატოვოს; რას ვიზამთ, მოდა ჭირვეულია – ზოგჯერ მაღალესთეტიკურს, დროგამძლეს აითვალისწუნებს და სანაცვლოდ ფსევდოორიგინალურს, ამწუთიერად თითქოსდა საინტერესოს წამოსწევს წინ ჭეშმარიტ პოეზიას არსად ეჩქარება, მას დღეს თუ არა, ხვალ-ზეგ მაინც გამოუჩნდება დამფასებელი, მაშინ, როდესაც აღარავის ემახსოვრება ბევრი რამ, დღეს რომ სნობურ გემოვნებას ღირებულებად უჩანს

ძალიან საინტერესოა ლექსი “მე და ყივჩაღი”. მასში ავტორი გიორგი ლეონიძისა და გრიგოლ რობაქიძის მიერ ხალხური ბალადის “შემომეყარა ყივჩაღის” საფუძველზე სხვადასხვაგვარად დამუშავებული თემის კიდევ ერთ ახალ ვარიანტს გვთავაზობს: ხალხურ ბალადაში ქართველი მოყმე გვიამბობს თავისი ცოლის გამო ყივჩაღთან ტრაგიკული შებრძოლების ამბავს; გრ. რობაქიძესთან ლაპარაკია ყივჩაღეთიდან ქალის მოტაცებაზე ლირიკული გმირის მიერ (რაც, როსტომ ჩხეიძის თქმით, თითქოს ერთგვარი “სამაგიეროს გადახდის” სურვილითაა ნაკარნახევი); გ. ლეონიძესთან თვით ყივჩაღის მონოლოგი გვაქვს მოცემული, აქ ყივჩაღი რომანტიკულად გამიჯნურებულ გმირად წარმოგვიდგება; იკა ქადაგიძემ კი ამ გამიჯნურების ობიექტის, ქალის მონოლოგი შემოგვთავაზა და თავისი გმირი ერთგვარ პატრიოტ ამორძალად წარმოგვიდგინა – იგი მარტო (ქმრის თანხლების გარეშე) მოდის მუხრანის ველზე და ყივჩაღს გადაეყრება: ყივჩაღის სამიჯნურო შემოტევას ქალი თავისი სამშობლოს ცისა და მიწის დასაკუთრების მცდელობად აზოგადებს და მოძალადე მიჯნურს (მტერს, დამპყრობელს) თავის ქალას გადაუხსნის რობაქიძისა და ლეონიძის მიერ დამკვიდრებულ ლიტერატურულ “ყივჩაღიადას” იკა ქადაგიძემ თავისი ქალური რაკურსი დაამატა და ამით ეს რომანტიკული ტრადიცია შევსებულ-დასრულებული სახით წარმოგვიდგინა.

იკა ქადაგიძის პოეზია თემატურად მრავალმხრივია. ახლა მინდა მის ერთ ლექსსზე ვისაუბრო, ზემოთ განხილულ ნაწარმოებთაგან მკვეთრად რომ განსხვავდება: აქ უკვე ერთხელ მოვიხსენიეთ ეროვნული ბიბლიოთეკის ფორუმი (ებლიტფო) და მისი ხელმძღვანელი გიორგი კილაძე, რომლის ინიციატივითაც პოეტებმა ფორუმის საიტზე ხუთ-ხუთი ლექსი წარადგინეს (რუბრიკით "ჩემი ხუთეული"). იკა ქადაგიძის "ხუთეულიდან" ერთ-ერთი გახლავთ "ალკეოსი საფოს", რომელმაც ინტერნეტ-მკითხველთა დიდი დაინტერესება და გამოხმაურება გამოიწვია. ლექსის შექმნის მიზეზი გახდა ისტორიულად ცნობილი ფაქტი – შემორჩენილია ძველი ბერძენი ლირიკოსის ალკეოსის მიმართვის ფრაგმენტი მისივე თანამედროვე ლირიკოსი ქალის საფოსადმი "ჩემო იისფერ ნაწნავიანო, მსურს რაღაც გითხრა, მაგრამ მრცხვენია". ამ ფრაგმენტის საფუძველზე იკა ქადაგიძემ შექმნა სამნაწილიანი ლექსი და ამ სამ ნაწილში სამი ვარიანტია წარმოდგენილი – თუ რა შეიძლებოდა მიეწერა ალკეოსს საფოსათვის. პირველ ვარიანტში აქცენტი იმაზე კეთდება, რომ ალკეოსი ამჟღავნებს ეროტიული გამიჯნურების სურვილს კოლეგა-პოეტესას მიმართ; მეორე ვარიანტში მამაკაცი-მგოსანი ერთგვარ მბრძანებლურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს სუსტი სქესის წარმომადგენელი კოლეგისადმი და მეგობრულ, საალერსო მიმართვაში უხეშობასაც გამოურევს ("მე შენ გიბრძანებ, დედაკაცო!"), ჭკუაზე დარიგებასაც ჰკადრებს აღმატებული პოზიციიდან; მესამე ვარიანტში კი კოლეგასთან კოლეგიალური დამოკიდებულება (აღიარება) წამოიწევს წინა პლანზე, ალკეოსი მამაკაც მგოსანთა ტოლფარდად სცნობს საფოს, მის "პირველობასაც" კი ახსენებს, თან ერთგვარად პლატონური მიჯნურობის ობიექტად წარმოგვიდგენს მას. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს სამგვარი მიმართება ადრესატისადმი სამ ვარიანტში არც თუ ისე ცალსახად არის გამოკვეთილი, დაფორმულირებული: სამივეგან უფრო ღრმა, მრავალნიუანსოვანი დამოკიდებულებაა ნაჩვენები, ოღონდ ძირითადი აქცენტები საგრძნობლად ურთიერთგანსხვავებულია.

პოემა "უფსკრულნაგები ჰანგები" (რომლის სათაურიც შეარჩია ავტორმა წინამდებარე კრებულის სახელწოდებად) ისტორიულ თემას ეძღვნება. პატრიოტული, მოქალაქეობრივი პოზიცია აქ უფრო ღიად, უშუალოდაა გამოხატული, პოემას რამდენადმე პუბლიცისტური იერიც დაჰკრავს, თუმცა ი. ქადაგიძის პოეზიისათვის დამახასიათებელი ხატოვანება, ფორმისადმი გამახვილებული ყურადღება აქაც თვალსაჩინოა (მაგალითად, ინტენსიური გამოყენება შიგა რითმებისა და აქა-იქ ტრადიციულად მოსალოდნელი ბოლორითმების უარყოფა). პოემა ფორმით რამდენადმე უახლოვდება დრამატული პოემის ტიპს, რადაგნ იგი სამი პერსონაჟის მონოლოგებად არის დაყოფილი – პროტაგონისტის (ქართველთა მეფე სიმონი, "დელი სვიმონად" წოდებული), ანტაგონისტის (სამშობლოს მოღალატე ყორღანაშვილი) და მთხრობელისა; ნაწარმოები იწყება სიმონ მეფის მიმართვით ღვთისმშობლისადმი: ეს არის ლოცვა-ვედრება, სამშობლოს გადასარჩენად აღვლენილი; ამას მოსდევს მთხრობელის მიმართვა სვიმონ მეფისადმი, რომელიც უკიდურესი შეჭიდების ჟამსაც არ დანებდა მტერს: დაკონკრეტებულია ის დრო და ადგილი (ქციის ხრამი და საფლობი), სადაც მეფემ მეტსახელი "დელი" (თურქ. "გიჟი") კიდევ ერთხელ "გაამართლა" თავისი თავზეხელაღებული სიმამაცით. მომდევნო მონოლოგი ყორღანაშვილს ეკუთვნის, ვინც იუდას დარი გამცემლობით შემორჩა ჩვენს ისტორიულ მეხსიერებას: ხალხურ პოეზიაში ყორღანაშვილის ღალატზე პატარა ლექსიც არის, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა – ყორღანაშვილმა ხომ მტერს ისევე მიანიშნა სიმონ მეფეზე, როგორც იუდამ თავის მოძღვარზე; ამ ღალატმა განსაზღვრა მეფის ტრაგიკული ხვედრი. ყორღანაშვილის მონოლოგი მეფესთან წარმოსახვითი პაექრობაა, "ბრძოლაში გამოწვევა" და საკუთარი "სიმართლის" დამტკიცების მცდელობა: იგი რაღაც მაზოხისტური ჟინიანობით ლაპარაკობს თავის აღსასრულზე (უფსრკულში რომ გადააგდეს ღალატისათვის), მისტირის დაკარგულ სიცოცხლეს და აცხადებს, რომ სამშობლო არ ენაღვლება ამის შემდეგ ისევ მთხრობელის მონოლოგი იწყება,

სადაც ემოციური კომენტარებია გაკეთებული საქართველოს ძველ და ახალ გასაჭირსა და კატასტროფებზე, შინაურ თუ გარე კონფლიქტებზე, დაკარგულ მიწა-წყალზე, მომხვდურთა თავხედობასა და შინაურთა ორგულობაზე, უცხოეთში დაკარგულ ქართველებზე, პირადული კეთილდღეობისათვის სამშობლოს დამვიწყებლებზე განსხვავებით ზემოთგანხილული ნაწარმოებებისაგან, ამ პოემაში ილიასეული "ბედნიერი ერის" მამხილებელი პათოსია წინწამოწეული: ავტორი მკაცრად ამხელს ჩვენს უპასუხისმგებლობას, უნიათობას, გაუტანლობას, თავკერძობასა და მრავალ სხვა ნაკლს, ისტორიულმა უბედობამ და მრავლსაუკუნოვანმა დეგრადაციამ რომ დალექა ჩვენს ფსიქიკაში. პოეტი განსაკუთრებელ ყურადღებას უთმობს თავის თაობას (90-იანელებს), რომელიც ამ უახლესი დროის კატაკლიზმებმა, ძმათამკვლელმა ომებმა სულიერად დაამსხვრია, მარცხის სინდრომით დაასნეულა ამას ისევ ყორღანაშვილის მონოლოგი მოსდევს, ისევ სვიმონ მეფისადმი მიმართული, ნიშნისმოგებით აღსავსე იმის გამო, რომ დღეს ერი საკუთარი მიწა-წყლის გამყიდველთა საპარპაშოდ ქცეულა და ყორღანაშვილობა უკვე "გმირობად" მისაჩნევი გამხდარა პოემის ბოლო მონაკვეთში ისევ მთხრობელი მიმართვას სვიმონ მეფეს, შესჩივის, რომ ქვეყანა ეშმას კერძი გამხდარა და "სამშობლოს ზიზღით ბალანაშლილი" ყორღანაშვილებით ავსებულა მაგრამ მაინც ისევ სვიმონ მეფის გაუტეხელ სულს შესთხოვს, საბრძოლველად აგვანთოს და მომავლის იმედი ჩაგვისახოს: პოემა მთვარდება სიტყვებით "ქართული სულის ციხე-ბურჯი ზედ დამაშენე", რაც სურამის ციხის ლეგენდის ასოციაციას აღძრავს: სამშობლოსთვის ახალი სისხლის გადასხმა ისევ უცოდველი "ზურაბის", სხვერპლად შეწირვით უნდა მოხდეს, რაც, რასაკვირველია, ტრაგიკულობით მსჭვალავს ჩვენს ეროვნულ ცნობიერებას, მაგრამ რაკი ამგვარი მსხვერპლის გაღების სურვილი ჯერ კიდევ არსებობს, ეს იმის ნიშანია, რომ მაინც საბოლოოდ არ გავტეხილვართ და ფენიქსებური განახლების შესაძლებლობა გაგვაჩნია

იკა ქადაგიძე მაძიებელი ხელოვანია. ენასთან მისი დამოკიდებულება არ არის უბრალოდ პრაგმატისტული, რაციონალურობის ფარგლებით შემოსაზღვრული: პოეტს ენა მხოლოდ გარკვეული შინაარსების, იდეების გადმოსაცემად როდი ესაჭიროება, არამედ ენის თავისთავად ღირებულებასაც, როგორც ესთეტიკურ ფენომენს, დიდ მნნიშვნელობას ანიჭებს. მხატვრული ძიებების გზაზე იგი მიმართავს მარკირებულ ენობრივ ერთეულებსაც – ვთქვათ არქაიზმებს (მოხუედ, მოისთულე) ან თუნდაც ხელოვნურ ფორმებს (შთავეჭარ), ეწევა თავისებურ სიტყვათქმნადობას (მოსივრცო, მობივრილო, მოიაქტეონისფერა), დიდ როლს ანიჭებს შიგა რითმებს (ამაზე ზემოთაც მივანიშნეთ), რომელებიც არა წინასწარ შედგენილი კონსტრუქციული სქემის მიხედვით, არამედ სტიქიურ-იმპროვიზებულად ჩნდებიან მის ლექსებში; ხოლო ბოლორითმები ზოგჯერ არც კი გვხვდება იქ, სადც ტრადიციული ვერსიფიკაციის წესების მიხედვით უნდა იყოს: ეს თავისებურება ზოგჯერ სასურველ ეფექტს ახდენს, ზოგჯერაც უკმარისობის განცდას აღგვიძრავს; იკა ქადაგიძე ვერლიბრის ფორმას თითქმის არ მიმართავს, მაგრამ მის ლექსებში ექსპერიმენტული ძიებების კვალი საკმაოდ ხშირად შეიმჩნევა, თვით ტრადიციული სალექსო ფორმების წიაღში იგი ქმნის ახლებურ მოდიფიკაციებს, რაც გაცილებით ორიგინალური ჩანს, ვიდრე მრავალი დღევანდელი ავტორის ცდები ვერლიბრის ფორმაში.

წინამდებარე კრებულის მიხედვით დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იკა ქადაგიძე ლექსის ნამდვილი ოსტატია და ქართველ პოეტთა ხომლში თავისი თვითმყოფადობით, მნიშვნელოვანებით დამაჯერებლად იჭერს საკუთარ ადგილს.

მარსიანი

ქართული მზერა

გზა მოეც ისეთ უიღბლობის შემორკინებას
ლაშა-გიორგის ხმას რომ ჩრდილავს, ჰე, ჰამადავლე.
ძმარი შეასვი ლურსმნის ფერდზე გაკიდულ ნებას,
საკუთარ სიზმარს ჩონჩხის ყანწით შენ სანამ დალევ
კიდურზე მშვილდად დრო მოგწვდება, გადაწვართული,
მტვრიან ქონგურზე მათრახები გულმშვიდად ავლენ,
ყველა ეპოქას მოინელებს მზერა ქართული,
მზის ფერხულს ქვიშად შემოაცვდი, ჰე, ჰამადავლე!
მე ისე მცხელა, უდაბნოთა კიჟინის ფერად
ჟამითი კარი უსასრულო ტალღებით განვვლე,
მამულის ძარღვი გადამექცა უხავსო წერად
შენ რომ გაკრთობდა უშორეს დღეს, ჰე, ჰამადავლე!
გზა მოეც ისეთ უიღბლობის შემორკინებას,
რომ შიშსაც ხელი ვითა ფაფარს ისე წაავლე,
მზემ ლაშას მზერის სილურჯეში სვლა თუ ინება,
საუკუნენი აღმა დავლენ, ჰე, ჰამადავლე!

1994 წ.

ქართული სული

შენ რომ შეგეძლოს ნაკვერჩხალი რამლივით ყარო,
მე დამთხვეული ყარიბივით მზეს ვტყორცნი სურებს,
ქართული სული უკერპესად დრო-ჟამს გაჰყურებს
და არად უღირს თუ განუდგა მთელი სამყარო

შენ რომ შეგეძლოს მოირმისფრო ცა მიწად ყარო
ჩემში იფეთქებს მძლავრი ჯიში გადანახული
ვერ აღმოფხვრიან, საფეთქლებში მიდუღს ხახული,
თუნდ ეპოქათა მძვინვარება გადამაყარონ

შენ რომ შეგეძლოს ვიწრო სივრცეს სუნთქვა აჰყარო,
მე უსაშველო ბრძოლის ჟინი დამებედება
უჟამო სისხლი გამკვრივდება ჭიუხ ქედებად,
სადაც ოდესმე მზერას იღრძობს მთელი სამყარო

შენ რომ შეგეძლოს დედამიწა რამლივით ყარო
მზის სავსე ჭიხვინს თავს დავატეხ ზღვით სავსე სურებს,
ქართული სული უკერპესად დრო-ჟამს გაჰყურებს,
და არად უღირს თუ განუდგა მთელი სამყარო!

1994 წ.

მზის პეიზაჟი

მე წამოვედი მაშინ, მზე რომ იასამნობდა
რატომღაც წვიმას დაუტოვეს დუმილის ნება,
ზღვა მოვიკიდოთ ეულ ზურგზე, დრო რომ გვექნება,
ზვირთი ამბობდა
მე წამოვედი მაშინ, მზე რომ იასამნობდა
უეცრად ფეხი წამოვკარი მზერათა უტყვ ქარს
შენი სიტყვები მაგონებდნენ ნაწვიმარ სამხარს,
ქვიშა რომ ფლობდა
მე წამოვედი მაშინ, მზე რომ იასამნობდა
რწმენაში ენთო მოარული ფერების ფეტვი
უხსოვარ ბგერებს გავატანე, შენ რასაც მეტყვი
მზერა ცას თმობდა
მე წამოვედი მაშინ, მზე რომ იასამნობდა
უსიერ კლდეებს დამთქნარების წაჰგვარეს ნება
დროს რომ გავუსწროთ თუნდაც ერთხელ,
არ შეიძლება? ზღვა გვიამბობდა.

1994 წ.

სერაფიტა

დაეც სიმაღლე – დამრეც კენჭად დრომ რომ მოხატა
ხორშაკშეუწველ სივრცეების შემოგელვებით
მზით შენაცვლება მოეჟვნისფრო ცრემლის ოხათა
ჩემგან ტირიფის სიჩუმეში ყოფნა ეგების

ქართა სასულეს წვიმა მოსვამს ენკენისთვეთა
მზე აღასრულებს ფიქრის სიზმარს ელვის მბეჭველი
ცა ჩემს გიშრისფერ კულულიდან ჩამოეხეტა
ფიქალი მხრებით აღმოგწვდება დღე უეჭველი

ჩემს ხრიოკ ღიმილს მოწალდული ჟამიც ეყოფა
ორბაფრენილი სივრცეები, ღრუბლები კიდევ
ზღვას მობივრილო ნაპირები შემოექობა
ხელითა შენით დაუმსკდარი მზე შემომიჭდევ

შენდა მოვივლტი, უფასკუნჯო სირთულით ულევ
წყვდიადფერ მზერით უმოძრაო სულებს რომ ფილტრავ
და ოდეს ზეცა ვარსკვლავთ მოდგმას იბერწისწულებს,
ქართულ სამყაროს მეოხ ეყავ, შენ სერაფიტა!

1995 წ.

* * *

ახლა გავიგე რა არის თურმე
ბედნიერება ქალის, ძლიერის,
შემოგარიგებ გრაალს მისტუმრე
ოდეს შვას ქვიშამ დასალიერი.

1995 წ.

მე და ყივჩაღი

არაგვმა ქვიშა ამოახველა,
ჩოხად ჩააცვა ველებს, თორიანს,
არა მსურს მზისთვის სულის გამხელა,
მუხლის მოდრეკაც არ მითხოვია

მიწა ვისაგზლე ჯვარცმულ ხმიადად
უომარ სივრცემ წვიმად დამცადა
დროს ვძლევ, არწივად რომ გახმიანდა,
მზეს ფრთა შემოჰკრა, ლივლივა ცა და

ნისლის ქონგური გაოცდა, როგორც
ველური ორთქლი ძირძველ ქვიშათა,
მარტო მოვდივარ, იღბალო, ხომ ვთქვი
გზად უცხოს მზერა ამოიშანთა

დაუგეშავი თვალების ნაცვლად
ირიბად ჭრილი სათოფურები
დათარეშობდნენ მუხრანის ველზე
არ იღლებოდნენ ჩემი ყურებით

მუხრანს დედოფლის სული ახსოვდა,
გადანამღერი ციცინათელად,
ათასწლეულთა სისხლის ნამქერი
შეუბღალავი გზით რომ გათელა
ირიბი ჭრილის სათოფურები
ქსანმა წყევლით რომ ამოურეცხა
ვერ გაძღა ქართულ ზეცის ყურებით,
შემრიგებლობის მტვერიც არ ეცხო!

მგლის ფაფარივით უხედნავ ველებს
ხარხარი ელვად შემოაფრქვია,
თვალი რომ მკიდა, ფიქრს დანასვენებს

სადავე მოსდო, მკითხა: ‘’ - რა გქვია?

- მზეო, სადა გყავს ქმარი დამცველად
უდრეკნი ვართო ამტკიცებთ აკი
მე შენი მზერის ცეცხლმა დამცელა
ვიქნები შენი ყმა და ქომაგი! ”

ღორღიან სიტყვით ამოამტვრია
სიტყვა ნაძოვი ბედაურების,
მუჭში მოწურა ზეცა თვალღია,
მოწამე ბრძოლის, არდაურვების

და უცებ ხელი აუკანკალდა
თმათა ნიაღვარს როცა უტია,
” - ვერ იქნა მზერა ვერ შეგაჩვიე,
- შენში თვით ღმერთის სიჯიუტეა!”

მაგრამ ყივჩაღის უკან დახევა
არ გაგონილა ჯერაც აქამდი
მიწას შემაჭმევს შენი სახება
ღრუბლებო, ელვის კვერთხად აჩქამდით!

”- მე მორჩილება არა მჩვევია! -
ვთქვი და მაღალი ღმერთი ვახსენე,
- ცას ვერ დაგითმობ, მიწაც ჩემია
- მტერს თავის ქალა გადავუხსენი!”

არაგვმა ქვიშა ამოახველა,
ჩოხად ჩაცვა ველებს, თორიანს
დახვედრა ვიცი ბევრის მნახველმა
მუხლის მოდრეკა არა მდომია!

1997 წ.

XXI საუკუნის თბილისი

ოცდამეერთე საუკუნე ტვინში მახველებს,
აღმაშენებლის ძეგლის ხილვა დღეს ბევრს ახელებს,
დანარჩენები ხოხობს სდევენ ბავარიაში
და საქართველო უყვართ მხოლოდ ავარიულად,
მაკდონალდსურად, ქათმის ფილტვით,
იქნებ - წიწმატით,
ქართული სუფრაც აღარ მოსწონთ,
ბრტყელ-ბრტყელი მატი

გამოუცხადეს საქართველოს, კიდევ - მსოფლიოს
და მოქალაქის ვაი-პასპორტს, შხამით ოფლიანს,
ცხვირ-პირში გვჩრიან, იეღოვა მოიგებს პროცესს,
უნივერსიტეტს აჰკიდებენ მფლანგველთა პროცენტს,
ავანგარდები გვკარნახობენ უახლეს მოდებს,
და დაკვეთილი "შედევრებით" კემსავენ ოდებს,
უნდა მივბაძოთ, "გავაკეთოთ" ენა ქართული,
ბელეტაჟი ვართ, სული წაგვძლევს მრავალსართულის,
"იმიჯი უნდა გავიკეთოთ" პარლამენტურად,
თორემ ჩვენშიაც აჩხავლდება მშობელი ტურა.
ეროვნულობა - ძველმოდური ლიტერატურა
დღეს გულს აზიდებთ,
და ამიტომაც დაათრვენ ნაგვის საზიდრებს, -
ელიტარულად რომ შეარქვეს თანამედროვე.
დღეს საქართველოს მკვიდრი სხვაზე ადვილად ტოვებს,
ვიდრე - ოდესმე შემთხვევითი ტრანზიტის მსხვერპლი.
ოცდამეერთე საუკუნე სხვა რიტმს "აკეთებს",
არ ეზარება სნობთა ლაშქარს, ყველას აფეთებს.
დღეს ყველაფერი თამაშია, მხოლოდ ხალტურა,
ლიტერატურა - უახლესი მაკულატურა,
ენა ჭრელ-ჭრელი, ერთჯერადი, კოხტა ჰალსტუხი,
ჰოდა, კაკანებს უცენზურად, ვითარცა კრუხი.
ერთჯერადობის ეპოქაა, სხვა - არაფერი.
მაშ, გაუმარჯოს ერთჯერად ქართველს, ერთჯერად ენას,
რასაც მოვისმენთ.
აღმაშენებელს ალმაცერად უმზერენ ისევ,
გალაკტიონი სოფლელია, - ტეტია ბიჭი,
მოძველდა თურმე და ჩვენ ამის შეგნება გვიჭირს,
ხომ მოგვიმრავლდნენ თბილისელი ჟარგონისტები,
"ფსიქოს" ვუყურებთ, ევროპულად სწრაფად ვიზრდებით,
რუსი მოძველდა, ამერიკა არის მოდაში
და პოლიტიკურ პოდიუმებს ყველგან ფრთაგაშლილს
ვისუნთქავთ, როგორც მწკლარტე თუთუნს
მიეთ-მოეთის.
დღეს ფული ფასობს, სასაცილოდ ჟღერს
ხმა პოეტის!
ქურდულ გაგებას ვინც არ ეძმო, განწირულია,
საქართველოში ამნისტიას ელის სიმართლე
და თუ ახალი საუკუნეც არ გაგვიმართლებს,
შეგვჭამს კიდევაც სრულყოფილი პედერაცია!
ტელევიზიით გადმოგვცემენ, ბილს რა აცვია
გალენჩების დროს, ფესტივალზე, ანდა სხდომაზე,
რა აწერიათ მსახიობებს თურმე სტომაქზე.
ზოგჯერ ფაშისტებს გვიწოდებენ ტელე-შარაზე,
ნუ დაივიწყებთ ქართველობას, - ითხოვს შარაძე,
მაგრამ თბილისი იმად რჩება, რაც მუდამ იყო,

აღმაშენებელს შეებრძოლა, მან ძლივს დაიპყრო,
ოთხასი წელი დამონების არ ეთმობოდა,
ახლაც იგივე შემოსულა, - მონობის მოდა.

2000 წ.

ნამდვილ ქართველებს

(ეძღვნება დედა ენის ძეგლთან მოშიმშილე ახალგაზრდობას)

გამოგვიწოდეთ ხელისგული – სივრცე ნათელი
სივრცე, ღმერთივით მრავლისმომსწრე ნაოპიზრალი
არ თქვათ ბიჭებო, საქართველოს არ აქვსო ბედი
არ თქვათ, რომ გაცვდა თქვენი მზერა რკინის ბოძალი!

და თუ ქართველნი რიცხობრივად დაგვჯაბნეს ბევრად
ნუ იფიქრებენ, რომ დაღუპვის სენი მოგვედო
ქართველმა სული მზეზე მეტად აასატევრა,
სხვა თუ არ დარჩა, შენ გასწირე თავი პოეტო!

როცა ყველაფერს გვედავება მტერიც, მოყვარეც,
როცა სულისთქმა გაბატონდა ყველგან ქურდული
თქვენ სწორედ მაშინ აიშხვართეთ მათთან მოდავე
და ცინიკოსთა უზნეობა მოიურდულეთ.

და ახლა როცა ფულმა კრიჭა შეუკრა მრავალს
შხამი ჟანგივით მოეკიდათ ქვეშ-ქვეშა თვალებს,
თქვენს სულში ისევ ასაზრდოვებთ მოსხებს, თუბალებს,
და ამიტომაც ვინ დაგინდობთ, მაცხოვრის გარდა!

გამოგვიწოდეთ ხელის გული – სივრცე ნათელი
სივრცე აზიდეთ წინაპრების სისხლით ნაჭედი,
თუ საქართველო თუნდაც წუთით უცხოს ჩაბარდა,
არც მაშინ დავთმოთ ჩვენი ძვლებით მაძღარი ბედი!

13/VI/1999.

ავტოპორტრეტი

დღეს, მერამდენედ, დალი მიწოდეს,
ლეგენდის ტვირთის მიმძიმს ატანა,
დალი მიწოდა უბრალოდ ქალმა-ლერწამტანამ
და, ამავე დროს, უცხო ფერის და ხმის პოეტმა.
თქვენ კარმენს გავხართ, - მზის კოცონს თითქმის,
არ მოგიხდებათ თვალების დახრა.
და რადგან ლექსი მზედ ამოითქმის,
ჩვენი ბედია სიტყვებით დაღლა.
ერთხელ მე სევდის დედოფალმაც დალი შემარქვა,
თუმცა, წერისას ფიქრი მთაზე თუ დაეწვეთა,
ჩემი თვალების ჭრილს უხდება წყვდიადთან მარხვა,
ალაპლაპება სიძველესთან, ვითარცა მცხეთას.
თქვენ ამ დაქარგულ მზერას
ქალღმერთს რისთვის ადარებთ?
უდავოდ იცით, ღმერთქალების დრო რომ წავიდა,
ცინიკოსები შესევიან ზეცის ქანდარებს,
სატანის ფიქრი ირვალება სალოცავიდან.
მე მარტოს უკვე აღარ ძალმიძს ბრძოლა უსაგზლო,
დროის მავთულხლართს არ ბეზრდება მიეთ-მოეთი,
ოდესმე იქნებ ღმერთქალობის გარეშეც გავძლო,
მაგრამ დავრჩები ზეცის მცველად - ერთი პოეტი.

2000

ტელემაქეს პასუხი ოდისევსისადმი

(იოსიფ ბროდსკის ლექსის საპასუხოდ)
ჩემს წერილს ვატან იღბლიან ქართა,
მეუღლე დღესაც შენს პერანგს ართავს,
შენზე ამბობენ, რომ ტროას ომმა
გაქცია მუდმივ ტყვედ, - იმ ჯილაგად,
რომლის სიღრმეში ღვიოდა მხეცი,
შენ ჩემს სიზმრებშიც უკუიქეცი!

რომ ულამაზესს - მსახურებ ცირცეს,
მე მას საკუთარ სიცოცხლეს მივცემ,
არა მეომრის, ანდა ყარიბის,
ვცდილობ, მოგარგო მამის ყალიბი.
მტვრიან ხმალს ვუბღვერ, გაუქმებული
დუღს ჩემში კაცის სისხლი თავნება

და ნახევარკაცს მაკლიხარ დიდად,
ვითარცა მთვარეს ვარსკვლავთა წინდა.

მამავ, განსჯისგან თავს ვერ ვიკავებ,
როდესაც ვისმენ ჭროღა იგავებს
ჩემამდე ბალახს, ქვას, თევზს რომ მოაქვს
ან კაცთა ენას - ჩირქოვან ფოლაქს,
აქ უკვე აღარ დამედგომება,
ფიქრებიც იქცნენ ჩემში ომებად!
კანს მიქერცლავენ საბარკულები,
საქმროთა ჯოგი დედაჩემის არ მცნობს სრულებით!

მე შენი წრთობის გამძლეობა ვერ დავამტკიცე,
ის ხარიც მჯობნის, შენს ხსოვნას რომ რქით თავში იცემს!
ტალღის ხმაურში მოქაფქაფეს არ ვეძებ გემებს,
ჩემს პატრონობას საბერძნეთში ყველა იჩემებს!
მამავ, ცხრა წელი მე ცხრაპირი სიცოცხლე გამძვრა,
ისე ვირყევი, როგორც ზღვაში ნაგდები ანძა,
კვლავ ვიმახსოვრებ საიდანღაც აშლილ თარიღებს
და მაინც გელი, თუმცა ჩემზე ხელი აიღე!

მრცხვენია, მაგრამ დედაჩემი უფრო გამძლეა,
უფრო დრეკადი, გონიერი, ლოდინით სავსე.
მე შენი მშვილდიც ვერ ავზიდე, არ ვიცი, როდის
ჩემში აფაფრულ ვაჟკაცობას რას შევუთავსებ.
კბილებით ვღრღნიდი მოლოდინებს, დრო ისევ მქენჯნის,
თუ იკაროსის დარად დავთმე სივრცეთა მენჯი,
ნუ გამატყუნებ, ტროას ომმა დაგვაცალკევა.

დროა, ოჯახში მძლავრი ომი ავაგიზგიზო,
რომლის სანაცვლოდ ბედი სხვისთვის არ გამიმეტებს.
რწმენა მღალატობს, მაგრამ მკლავი ჯერ ისევ მერჩის,
და ჩემს მოლოდინს, თუნდაც დღე რომ გადააცდინო,
დედაჩემს ვფიცავ, შენ თუ არა, ზევსი შემაქებს,
ოდესღაც ტროას ცხენად ქცეულ შენს ტელემაქეს.

2000

სალაღობო

უკვდავება შენმა მზერამ
მზის სიშიშვლით შემოსალტა
ჩაგვეხერგა სამზეური,
ფერით მსგავსი სპილოს ძვალთა

აღარ მშველის არც ქალღმერთის
გამომწვევი, ურჩი თმები,
საუკუნის სულის ღაფვას
კვლავ უშენოდ ვეგებები!

ეგ თვალები – სარანგები
აფეთქებენ უთქმელ გამებს
და ჭიუხის სველ სიზმარში
ნისლი სევდად იკამკამებს.

2000წ.

გურიას

ჭადარზე მძლავრად ამ მიწაში მე ჩავიფესვე,
სუნთქვაზე მეტად ლურჯი მთების მიღირს ნაკრძალი,
ქალაქურ ქაოსს უყოყმანოდ დავტოვებ დღესვე
მთაში ჩაკირულს თქვენ შემარქვით ოდითგან დალი.

სისხლმა შემითქვა. არ დავნებდე მიწის კოლბოხებს,
სიტყვა, ნაზარდი ცის მანქანით მტვერს არ დაიკრავს,
იქ მირჩევნია, წერწერტი ხე სად იცვამს ჩოხებს
და მზის თავთუხი ჯვარცმულივით ნისლზე გაიკრა!

სად მოძახილი ჭაობისკენ ბურუს-ღვედების
სულში დახავსულ სინესტესთან ერთად დაირწა,
იქ, მთის ნიაღვარს ბავშვობიდან ვეიმედები,
და ჩემ ნათითურს მზედ ინახავს გურიის მიწა!

14/IX/2000

ძველ მეგობრებს

აქ დაღამდება სიტყვები ჩემი
ამონასროლი ასწლეულს მიღმა,
თქვენ გულებს ნიღბავთ ასგზის გასროლით,
აღარ წკარუნობს თქვენ ხმაში ბროლი

რაღაც სხვა თარგზე გადაკეთებულთ
შეგახმათ ზეცის ამონასუნთქი,
მე რაღა მეთქმის? გვიან მიცვნიხართ
ოდეს ვიწვნიე ცინიზმის თუთქი!

რისთის? თქვენ უკეთ მოირგეთ როლი
უცბად გამკაცრდით ნაწრთობნი ქებით,
მზერა მოზიდეთ, როგორც ჰოროლი
იკმარეთ ფიცი, რას შეირგებდით

მათგან, ვინც ყალბი სინათლით ვაჭრობს
და შუქ-ჩრდილების გაქცევით ქურდებად,
სიკეთე შურზე თუკი გაცვალეთ,
ეგ თქვენი ნიჭიც გაგიხუნდებათ!

4/II/2001.

* * *

მე შენი სული მეგონა არფა,
არ გაწუხებდი თუნდაც შეხებით
გრძნობებს ყიდიან იმდენად სარფად,
ღვინოს ვერ ყიდდნენ წინათ გლეხები!

28.1.2000

ჩემი წიგნები

ხუნდებდადებულ მტრედების მსგავსად
ჩემი წიგნები – სამყაროს განცდა
ბინავდებიან ბედის თაროზე
და ჩემი გული-ქვიშის თილისმა
დროებით იპყრობს თქვენს ავგაროზებს.

ზოგი მათ მარილს უწვდის ხვავრიელს,
ზოგი – ცინიზმის საბელით ახშობს,

ზოგი უგზავნის მიქელ-გაბრიელს
ან მიამსგავსებს ძველმოდურ საშრობს

სამაგიეროდ ბავშვმა თუ ნახა
თუნდაც ყდის ფერი გაუთბობს ძარღვებს,
და ამ ჩვენს ყოფას-ერთჯერად თანხას,
ცისარტყელებად აუფრენს წარბებს.

7.04.2001.

სიმონ ჩიქოვანს

ბამბუკების და დაფნის ჩეროში
გადაფხეკილი ფრესკების მსგავსად
ამოიწვართა პოეტის სული
ცრემლით ნალესი უთქმელი განცდა
ისევ მღერიან საქართველოში,
თუმც პოეზია ღმერთმა დანავსა,
სიტყვას თავადურს- ნატიფხნულიანს
აღარ აფასებს დროება ბევრად
ის, რაც ოდითგან წაკითხულია,
შთამომავლობამ ამოიქვევრა

ბამბუკების და დაფნის ჩეროში
ასე ნატიფად ვიღა მეტყველებს?
ლექსს დასცინიან საქართველოში
დღეს პოეტები ჰგვანან მეტყევეს!

14.09.2000

ქართველს

ამაოდ დაშთი,
აღარ არის ეპოქა დაშნის!
სამაგიეროდ ეგ თვალები ნაშთია ძველთა
დაუღალავი ვაჯკაცობის,
სიმართლის მთქმელი,
ჯვარზე გაკრული ასალ დრო-ჟამს
ებრძვის ქართველი!
6/VI.2001.

დაბადება
(ეძღვნება ჩემს ვაჟს-ავას)

შენ დაიბადე
და არ იცოდი სივრცის მსგავსად
გნატრობდი რამდენს!
შენ დაიბადე, მზის სხივებში გამოწვართული
და ჯერ არ იცი: კაცის ბედი არის მავთული.
ჩამოკიდული ნესტიანი ხრამის კბოდეზე,
გაჩენის საათს დაირწყულებ სულში ოდესმე,
რამეთუ ჩემში მზეზე ბასრად, თვალისმომჭრელად
ანგელოზებზე ხმიერადაც ამოიჭიქა
შენი ხატება,
ღმერთმა ჩემთვის რომ მოიფიქრა!
26/VIII.2001.

ზამთრის პეიზაჟი

ჯერ ვერ გავიგნე გზა ბილიკები,
ვერ შევეგუე, დრო რომ გათხოვდა,
თვალები მწუხრის ბაზილიკები
ამოშრიალდნენ, ცრემლიც გათოვდა

ყვავილის ფერი ამოიკბიჩა
ქარის ნაორთქლი ღრუბლის სისავსით,
ზამთარს უპყრია ხელთ ყინვის სირჩა
მის ფსკერზე ჟამი ვით მძიმე დავსვი

მოუხერხებლად და უგერგილოდ,
როგორც სიცივეს მოეგუნება,
ზამთარი-ფიჩხით ნაქსოვი ტილო
გვაქცევს ნაღველის მოლეკულებად.
7/XII.2001.

შავლეგოს
(ეძღვნება ჩემს ვაჟკაცს-შალვას)

შენ ჯერ არ იცი, სამკვიდრო ჩვენი
არშობილ გმირზე ჯავრს გადაეგო,
ცხოვრება-რბოლა, დაცემა, ბჯენი,
სცან ცათამბრჯენად, ჩემო შავლეგო!

გადაუფურცლავ შუბლს შენსას ვკოცნი
და ელვის ფთილზე მეტად ვბასრდები,
საქართველოში ლომების მხოცნი
იბადებიან აჰა, მასრები!

ნუ გააცუდებ მარჯვენას უქმად
სხვაგან ჩვენ არსად დაგვედგომება,
არ მსურს გიყიდოს რუსმა და თურქმა
ან გავცამტვერდეთ ,,ძმათა" ომებად

ღმერთს უეჭველად გაენდე, თუმცა
ადამიანებს ნუ მიენდობი,
დაიმახსოვრე სიტყვა ნაჟური,
გულის სურნელით, დრომ რომ აკინძა,
შენ ხარ ქართველი-უფლის იობი,
არ დაივიწყო, შავლეგ, ასპინძა!

30/VII. 2001

თარიღი

თერთმეტ სექტემბერს ცათამბჯენები
მაღლა გაწვდილი, უძველო ხელებით
შეგვახსენებენ რამდენს გაუძლო
მოდგმამ ადამის.
ცრუ სახელები ამოიტვიფრნენ
აჰა, კოცონი, ღმერთშეუვალი,
მე ვეღარ ვიფრენ!

ცამ შუქის ნაცვლად დაღრუბლა ტყვია
ამ სამყაროდან გამოსროლილი დავრჩი უარი,
ნათლისმცემელის თავის კვეთის დღეს
ცეცხლის თარიღი ვინ დაამთხვია?
დაპატიმრებულ დედამიწას
აქლემის ბეწვი აღარ უხდება;
ცათამბრჯენების მოღლილ მკლავებში
აღარ სიტყვდება მზე თავთუხებად!

მიწისქვეშ ლაქა მატარებლების
სიცოცხლისათვის უხმოდ უქმდება,
და მე ვოგნდები!
ადამიანებს ცვლიან ვაგონები,
თვალები - ცეცხლწაკიდებული ვაგონები,

სამყარო ერთჯერადი, შემთხვევითი ტყვია,

უმჯობესია ვიდრე ჩემი სისხლი გაყიდონ ფლაკონებით
ცეცხლის თარიღი
ნათლისცემელის თარიღს ვინ დაამთხვია?
16/VII/2005.

დილის პეიზაჟი

(ეძღვნება ჩემს ავას)

დღეს შენს მზერაში მიწა არ ღრუბლავს,
ღვენთავს ღიმილი სურნელოვანი,
სივრცისთვის იშვი, მადლობა უფალს
წიაღუქმნელი, როგორც ლოცვანი

ჩემს ფიქრებს ზრუნვა ჭაღარასავით
ამოებლანდათ უცხო ნაპირის,
ცხოვრება-სულზე გადასაკრავი
ვისთვის ორმოა, შლილი ცხრაპირად

შენ ხარ გუშაგი ფერადი სხივის,
მზეს დავასწარი ლოცვა დღეს დილით,
შენს ვრცელ მზერაში კოსმოსი ჭვივის,
სივრცის ხავერდად ამონესტილი.
6/XII.2001.

უკბილო საუკუნე

დღეს გადაკეთდა ზეცა ფარდულად
ღრუბლს დაეტყო ვალუტის ოფლი,
მთვარეს მწყემსავენ ავანგარდურად
ზეცა ამსგავსეს ტოპრაკს ცელოფნის

მზესაც მისდგება მოდა უცილოდ
ქვაბურიან ქუდს დაამხობს ცხვირზე,
და საუკუნე ურცხვად უკბილო
აღიბეჭდება მომავლის ფირზე.
30/XII.2001

ზამთრის პეიზაჟი

მარილიანი სივრცე თებერვლის
არამდგრადია, ვითარცა კარტი,
დრო აღარ არის მიწის გადია
ზეცას აფკვრია მთვარე-ჭიკარტი.
2/II.2002.

მართა!

მთვარეს ჩამოჰკრავ თითებს, ვით არფას,
გაოფლილ შუქის დღე მიმწუხრდა, მართა!
თმებში ჩაიწნავ მომავლის ებანს,
მთვარის აკვანში მზე ღვთისმშობლის ცრემლით
პირს იბანს.
მზე ჩემი სულის გაუთლელი ფანქარია,
გულის პკე განიხორცე. მტრედების ლაქარდია,
ადამიანები? - რწმენაშეუშრობელ მელნად ჩაღვრილნი,
უტყვობენ გუგებში.
მთვარეს დაგამსგავსებს ვნება უტკბობელს
ლეღვზე აკრული ქერქგაცლილი ნუგეში,
ცრემლს ნუ მოუსილავ დედა ღვთისმშობელს,
მოლაღურივით მფრთხალ ქუთუთოზე
თოთო მზე მოუსივრცე.
დედაა, ტაძარში შეპარულ სიყრმეს
ახლაც ვერ მივცემ!
ლორთქო სიტყვებიდან შუქს გამოუწურავ
დროზე დაგეშილ ქედანს,
მთვარის აკვანში მზე ღვთისმშობლის
რძეზე ოცნებას ბედავს.
თმებში ჩაიწნავ, მომღიმარ მტვერზე
ააგებ მომავლის ებანს.
მთვარის აკვანში მზე ღვთისმშობლის
ცრემლებზე შრება.
მთვარეს ჩამოჰკრავ თითებს, ვით არფას,
ეს დღე ჩემს არშობილ ღიმილს ჰგავს, მართა!
2004

პოეზია

ამ ქალაქს ვეღარ გავერიდე,
გული - ამირანის სისხლგამძღარ ჯაჭვივით
ეშვება ჰაერიდან.
საწუთროს თვალი - უკვდავების ნაგავსაყრელი -
ძაღლის ძვალს მორცხვად ჩაფრენილი ბუზივით მდარაჯობს,
სულში კი იისგან მოწნულ ფრესკას ხატავს კარავაჯო.
მაღლობს ვადგავარ, ფიქრი არ მაღლობს,
მზედაუსჯელი სიჩუმე მიშრობს
კალამგაწაფულ, დაძაბულ თითებს,
ვაზის ლერწივით რომ გაუდგამთ ფესვი
შვილების შუქნაკადულა ხელისგულებში.
ძეხორციელიც ვერ დაეჭვდება:

დედა მოდის შვილებთან ერთად,
ჯიბის კუთხეში კი მზესავით მიუღწეველი,
უვადოდ დასჯილი ლექსი მიყუჟულა დედისერთა.
2004

ვინ ვარ?

ფიქრთან თამაშით
გადამდები ვიწვნიე სენი,
დრო ჩამრჩა თმაში,
გული წვეთავს - ხმელეთის სენი,
ველარ ვცნობ ზეცას,
ჭვავის პურის უმ გულგრილობას,
ვინ ვარ?
ყოველი, ვინც დაარღვევს
მცირედ პირობას,
აღარ მომძებნო, შემოქმედო,
შენს მოკრძალებას
მე დავუხვედრებ ჩემთა მსგავსთა
უხვ მოძალებას.
აღარ შემინდო
ნაცეცხლარი სულის სიმძიმე,
არ ვარ საწყისი, არც სასრული,
გახლავარ მძიმე,
გაუმხელელი სიცრუე ვარ
ცად მოსართულე,
ფიქრთან ჭიდილით
რეკვიზიტი - მზე გავართულე.
ვინ ვარ?
ყოველი დაბნეული,
მზე შემახსენე,
წერტილადაც თუ არ ვვარგივარ,
ნუ გამიხსენებ!
ამ სამყაროში ცის ნერგი ვარ
ნაღველფი თავქვე,
ის ბავშვიც მე ვარ,
ჭის წყალივით
წეღან რომ აქე!
წუთისოფელმა დამანათლა
ცხოვრება - სენი,
სისხლად მოვწვეთავ
კაცი მცირე - ხმელეთის ხსენი.
2004

მთვარე

მთვარევ – ნაძვის ხევ,
ჩემი ცრემლი – მიწის სათამაშო
ვარსკვლავად აისხი:
ვიცი, არ მიწყენ

საშობაოდ სივრცე უკიმირო
უკმარისობას ქიშმირივით
უხმოდ მოგავლებს მხრებზე.
განვლილ სასაფლაოსავით
უნჯი გავლენა შენსკენ მოგვიხმობს.

მთვარევ – ნაძვის ხევ
გრილი ნათება
მოვერცხლილი წვიმებივით
ტანზე აისხი, ვიცი არ მიწყენ
ოცდაათ ვერცხლად რომ წკარუნობს
        მოწყენა ჩვენში
ვარსკვლავთა ნაწიბურებს
თვეში ერთხელაც არ მოვერცხლავ,
ამიტომაც ცას გამადლის
ქვიშაზე ფეხმორთხმული ცეცხლი.

მთვარევ – ნაძვის ხევ
ჩემი ფიქრი – გაზაფხულს დანატრებული
ჩიტი ღაბუა ვარსკვლავად აისხი,
        ვიცი, არ მიწყენ,
ჩვენ ვისაც ველით თოვლის ბაბუა ერთი –
მოვერცხლილ საკმევლით
მიწამდე ჩამოქვეითებული გაუგებრობაა. -
        ღმერთი!

2004.

მზის საფლავი

ვის გულში უნდა გაითხაროს
        მზის საფლავი
ღმერთის თუ კაცის?
მეც ავდექი და მზე ამირანს
        ტანზე ჩავაცვი.

ამიერიდან ის დაკრძალულ
მნათობს მფარველობს
ღმერთის და კაცის სულისთქმათა
უტყვი მთარგმნელი.
2003

ქართული ფიქრები

ნესტს დაუგრაგნავს ზეცა - მუზარადი,
ყივჩაღი, რომელიც ასე გგავს, გავზარდე
ჩემს ჭერქვეშ, სადაც მან მარჯვენა მომკვეთა,
ახანჯლა უბე და გულში ბნელს იგუბებს,
მარჯვენა მომკვეთა, ვერ იქნა მოკეთედ!

არ ყოფნის არც სისხლი, უწყვეტად მჩქეფი,
უდაბნოს სხეულზე ღრუბლების შხეფი,
არც სული, შეკრული ძნებით თავთავების,
მისთვის უძნელოა მზეთა გათავება.

რიჟრაჟი სწყურია თავისთვის უაკვნო.
ერთმანეთს ვძიძგნით და სხვას როდის რა ვავნოთ?
მიწას გვედავება, შუქს ნატრობს უაკვნოდ,
ვაზით ნაჩუქურთმალ შვილებს რა ვუამბოთ?

რა ვუთხრათ ნახანძრალ წინაპრებს ომახით,
არ დაძრან კრინტი, რომ დაინგრა ოჯახი!
მსოფლიო ბაზარზე ქვეყანა უკაცო
მონადაც არ უნდათ, თქვენთან - უკაცრავად!

შემძულდა გულები ცრუდ ნაქართველარი,
ყივჩაღის მუშტით თუ ჩვენით ნავერნალი,
ნესტით დაიგრაგნა ზეცა-მუზარადი,
შენ რომ გგავს, იმ ყივჩაღს ვეღარ დავუზავდი.

ჩემს ჭერქვეშ ვეომე, ილაჯი წავართვი,
მეომრებს ვეძმე და არაკად გადავთქვი
ცხოვრება - ნაჭედი დრო-ჟამის გრდემლითა,
მზედ ყოფნა მეც მინდა, სიტყვად ვეღარა ვთქვი!
2003

გამოხმობა წარსულიდან

შემოდგომა ვამსგავსე
ოქროცურვილ ხატებს,
ჩავირბინე, ჩავკაფე

ფიქრსლართევის ფლატე

მთებს აბჯრავდა ვიღაცა
ჰგავდა მთუთქავ კრატერს,
--მზეს მიჩრდილავ, ძმობილო,
- ვინ ხარ?—
--მ ი თ რ ი დ ა ტ ე ! -
10/III.2002.

* * *

მზის ნანისლ ტილოს
გავატან ნილოსს,
მან გამაგრილოს,
დავეძებ ჩრდილობს

სულით შევეხე ზღვას-
ზეცის ჭილოფს
ის ხალად აჩნდა
ხმელეთს, უძიროს.

* * *

ხმელეთის მიღმა,
ცარგვალს გადახმა,
არს მადლის მირქმა?
ზეცაც გადასმა.
28/III.2002.

ქართლის ჭირი

ცხენისწყალზე გუბაზ კვეთეს,
ქვიშამ წარბი დაისისხლა,
დროს ეურჩა მაშინ მეფე,
დროს ჰყიდიან მისხალ-მისხალ.

დღეს მეფენი, მდაბიონიც
მიწას ჩხვერენ, - გულ-ღვიძლ ნათევს,
მოდით, ჩამოვიდეთ ფსონი,
მღილიც მოსთხოვს წაღებს წათეს!

შემოძარცვა თამარს ბალთა
უსქესოთა "დაფიონმა".
ბევრ საჭურისს ქართველ ქალთა

ჯავრი გაუმკაფიოვდა.

გარეთ ტილს ვერ მოერივნენ,
შინ ეგულვით "მტრული" სქესი?
გულით აღარ ითმინების
ქართლის ჭირზე უარესი!

გაშავდნენ და გაცისფერდნენ,
ბოღმას ღვრიან ყოველ სისხამ,
მონაბერი ფიქრი მღვრიე
ურწმუნობით დაისიცხა.

ცხენისწყალზე გუბაზ კვეთეს,
ქვიშამ წარბი დაისისხლა,
დროს ეურჩა მაშინ მეფე,
დროს ჰყიდიან მისხალ-მისხალ.

დღეს მეფენიც, უღირსებიც
ჯოჯოხეთშიც, სამოთხეშიც,
მზვაობრობის გრგვინავს სენი,
მიწად გვაკრავს ლანძღვის ხრეში.

ჩვენი სუნთქვა უადგილო
ცაშიც აღარავის ესმის,
ღმერთმა ნუ ქნას მომავალი
ქართლის ჭირზე უარესი!

2005.

საქართველო

ვით ირემს წყარო,
მენატრება ჩუმი ლირიკა.
ამ საუკუნემ პოლიტიკა ჩამოგვირიგა.
თავი დავხარო?
წინაპართა გენის მრცხვენია,
ქართული სისხლი
არც ერბოა, არც საფენია!

ვით ირემს წყარო,
მენატრება ჩუმი ლირიკა.
ამ ჩუტყვავილა ჟამმა ყველა გვაპოლიტიკა.
შიშველ მეფეს ჰგავს საქართველო,
და თუ აცვია, -
მათხოვრულ ფულით დაკვეთილი ქუჩის აქცია.

შენ ხარ ვენახი

შენ ხარ ვენახი -
ნამად გეხლება წმინდა ნინოს სუსტი მუხლები -
დაჩოქილი იების ლოცვა.

შენ ხარ ვენახი - სისხლიანი საწნახელი.
მომხვდურ უჯიშოს
ვინც ერთხელ არ გაარტყა ხელი,
ვინც ვერ დაიცვა რუსთაველი -
მზეებრ ნათელი,
მტერს აუსრულა დაისრული დღის საწადელი,
გადაშლილ ფრესკის,
ვინც გამჭვარტლა ქართლის იერი.

შენ ხარ ვენახი -
სისხლად მოგჩქეფს ყივჩაღის ქუსლი, -
აქილევსის არნამსგავსები;
მტევნად მოისხი მოყვასი მტრის ფული, გინება,
არ გახსოვს მოსხი,
გენატრება შემორკინება,
ალალბედური ბედაურის შემთხვევა ნავსი.

შენ ხარ ვენახი -
ცის თაბაშირს დაუბრეგბული
მზე - ხევსურ ქალის ჯვრით მოსირმულ
ღრუბლის კაბაში,
დამარცხდი, თუმცა, მოინელე ბედის თამაში,
მჯერა, მტერს მაინც გაისტუმრებ იქ, ჯანდაბაში!
ფაქიზ ყლორტს ისევ გაგისწორებს შენი მედროშე,
სამშობლოვ ჩემო, გამომცადე, ოღონდ მადროვე,
უფლის სწორფერო, სიმხნე მმატე, სულზე მოგისწრო,
სამხრეებს მათე შეგისწორებს კავკასიონზე!

შენ ხარ ვენახი -
ამ დროებას ღვთის მარილად დაექუხები.
მტევანს იმაგრებ,
ვით მარჯვენას ქართულ მუხების.
მუმლად ორსული მოსული მტერი ხვალ-ზეგ
არ ახეირო!

შენ ხარ ვენახი -

ნამად გეხლება წმინდა ნინოს სუსტი მუხლები -
დაჩოქილი იების ლოცვა,
მზე ხელუხლები აღდგები, თუმცა,
დაგებედა იუდას კოცნა,
მაინც აღდგები,
ნინოს თმების ნასხლევით გლოცავ!
2005.

შემთხვევითი ჟამი

შემთხვევით ნასროლ ტყვიასავით
ანათებს მთვარე,
ანათემაა პერგამენტად დგენილი ჟამი.
ამ სამყაროში რისთვის მოვხვდით,
ვინ დაიბრალებს?
ვის სისხლში მძლავრობს იაფეტი,
სემი თუ ქამი

შემთხვევით ნასროლ ტყვიასავით
მიმოდის მთვარე,
მიმოზის ექო უჟანგბადო ჰაერში ლღვება,
ამ საუკუნეს მივცეთ ნება, გმირი დაბადოს!
ვიდრე სატანის ჯაშუშობა გადააბარეს!

შემთხვევით ნასროლ ტყვიასავით
ბარბაცებს მთვარე,
მედროვე კაცებს ვინ შეასმენს რწმენას ყოველთა?
მუზეუმს შერჩა წინაპარი - ჩვენი მოყვარე,
იეღოველი ლიქნით ბეზღობს სვეტიცხოველთან.
2005

პოეტებს

მამაკაც პოეტს არ ეჩქარება
სახლში, რომელშიც სულის ბკე ბინდობს,
ქალი პოეტი მოჰგავს ხარებას,
ბავშვების სუნთქვის მარილით მინდვრობს.

არც ერთი კაცი არ ეშურება
ოჯახურ ჭერის შეჩვეულ მაღლობს,
ქალი ზრდის ლექსებს სივრცის პურებად,
შვილად აიყვანს და უფალს მადლობს,

რომ ჩასახვისას გარემოს ჯაბნის
და ქუჩის ხმაურს წვეთობით აშთობს,

პოეტი მუდამ სხვის სიზმარს ჯღაბნის,
სხვის სულს ყიდულობს - გაქურდულ საშრობს

ამსგავსებს მიწას, მაგრამ ზეცაშიც
იღბლის გარეშე ქუდს ვერ აისვრის,
პოეტებს ნებავთ ამ სამყაროში
მუდამ მიაგონ წილი კეისრის!

მაგრამ ცხოვრება არ ჰგავს ბალადას,
არც - სინამდვილის ჭიან საფულეს,
პოეტს, ვინც სიტყვას ვერ უღალატა,
მარადისობა აგაზაფხულებს.
2005

მე დავიტირებ ქალაქს

მე დავიტირებ ქალაქს, როგორც უხარისხო ქაღალდს,
რომელსაც შთანთქავს გალაქტიკის ცეცხლი უყოყმანოდ
და გასრულდება სამყაროს უგემოვნო რომანი ტექნიკის თანხლებით
ხმელეთის ფიცით აივსება ღრუბლების დახლები
ჩვენს წინაშე წარსდგება დრო - ბანკროტი ან მოფარიკავე.
ადამიანებს სტკივათ განახლება,
ღმერთი თავს იკავებს,
ღმერთი, მთვარისფერ შანდლად ნაგულისხმები,
მისი წიაღიდან ნაკვები სინათლე
ელექტრონის შუქს რა ხანია აღარ ემთხვევა!
უდროოდ იბნევი
ხმა მომაწვდინეთ ადამ და ევა!
დიურერის ნახატებიდან განბიძგებულო სულიერებო
სამოთხიდან განდევნილო უვარსკვლავო ქალაქის მძევლებო,
ამიერიდან ტექნოჯოჯოხეთურ სამოთხეს უთქვენოდ მოევლება,
ადამ და ევა!
უკანონოდ ჩასახული შვილივით უხმაუროდ
მოკვდინებული ბუნების ცოდვა იშვა ახლიდან,
ხმელეთის დაულაგებელი ფიცი გალაკტიკის უდროობამ გახლიჩა!
მე დავიტირებ ქალაქს, მხრებზე ნაჩქარევად წამოვისხამ,
როგორც საშინაო, ვადაგასულ ხალათს,
მაგრამ ვეღარ ვზიდავ ატლანტივით,
სივრცეს ადამიანის მექანიკური ტალანტი აღარ სჭირდება!
ჩვენს წინაშე წარსდგება დრო - გალაქტიკის უპირობო მკვიდრი
და მოითხოვს ერთადერთ სიმდიდრეს - სიცოცხლეს!
ოდესღაც ღვთისაგან რომ გამოვითხოვეთ,
მე დავიტირებ ქალაქს,
და თუმცა გული მიგრძნობს, დამტირებელი არ მეყოლება,

როგორც უხარისხო ქაღალდს - ჩემს ერთადერთ ქონებას,
სამყაროთა გზაჯვარედინზე, სიკვდილის ჯიბრზე
დედამიწას - ჩემს ავლა-დიდებას უფასოდ გამოვფენ,
რ ა ც ა რ ი ყ ი დ ე ბ ა!
2005

საწუთრო

მიგრიგალებდა საწუთრო,
ჟონავდა სევდა არშობის,
ქარს ქვიშის ტოგა ემოსა,
შენ მზის წამწამზე ბავშვობდი.

მიგრიგალებდა ცხოვრება,
ფიქრია ღრუბლის ფაფარი,
სივრცეს ნაწნავად ჩამოჰყვა
ოცნება, გაუწაფავი.

მიგრიგალებდა სოფელი,
შეუცნობლობის მადანი,
გულზე ჩიტივით დამაკვდა
ხმელეთი, გაურანდავი.
2005

მგოსანს მშობლიურს

(ეძღვნება ბატონ შალვა მჭედლიშვილს-პოეტს,
რომელმაც მართალი ლექსის გამო მრავალი
წელი გადასახლებაში გაატარა)

გაუქმებული საწნახელივით
დუმს თქვენში სევდა მშვიდი, უენო,
გადასახლების მრუდე სიმძიმე
უსიტყვოდ ზიდეთ, ბატონო ჩემო!

ვინძლო ყინულეთს როგორ ეომა
მამა-პაპაურად მტკიცე ურემი,
ნაზამთრალ მკერდზე მაინც გატყვიათ
მზისფერნისკარტა ნამერცხლურები.

ამ მსოფლიური წყობის პოეტებს
ბოროტებასთან შემოფიცულებს
ვერა გაუგეთ, რადგან ყვირილით
უღვთოდ ყიდიან თავის ფიტულებს

ყიდიან მიწას, სინდისს, ვარსკვლავებს

და სულს მოჩორკნილს ფულის ფიცრულით,
დრო მათ ქვესკნლში მიასაკლავებს
და ჩვენს საწადელს ის აგვისრულებს!

საუკუნეთა გზაჯვარედინზე აღმართული ხარ რაინდი ჟამთა,
სინათლის ფიჭით სავსე სნული ხართ,
ქართველი, ვისაც მამული სწამდა!
7/I/2002

ალკეოსი საფოს

ორი დიდი ელინი პოეტი ერთმანეთს იცნობდა.
შემორჩენილია ალკეოსის ერთადერთი ფრაზა საფოსადმი:
”ჩემო იისფერნაწნავიანო, მსურს რაღაც გიხრა, მაგრამ მრცხვენია”

I ვარიანტი

ჩემო იისფერნაწნავიანო,
მსურს რაღაც გითხრა, მაგრამ მრცხვენია
და უკან ვიხევ,
ერთს გეტყვი მხოლოდ, მთვრალ ცას არ გავხარ,
არც ნაწვიმარ საფეხურს თიხის,
შენ ბაგეთაგან მომდურავი სიტყვაა ძელქვა,
მუზაზე მეტად ახლა ჩემი სიტყვები გიპყრობს,
რა უნდა მეთქვა?
გულახდილობა თოლიების ხელობაა, იცი უთუოდ,
მე კანაფივით დაჭიმულ გულს უკეთ ვაცეკვებ,
სიტყვებსაც ვუღრენ, წავუთაქებ, როგორც ურჩ ლეკვებს
კაცად თუ გაჩნდი, ქალი სიტყვით არ უნდა კვებო!
მაგრამ შენ რადგან პოეტი ხარ, სუნთქვა გაქვს ნაღდი,
მზის ფერფლად უნდა შეგაგროვო, განიარაღდი!
დროა იგემო უკვდავების ზღვა გაქანება,
შენი მკლავები გადავჭიმო იალქანებად!
თლილ თითებს სისხლად შევესიტყვო, ყვრიმალთა სითბო
ხმადაბალ სიტყვის საჩრდილობელს დავუმორჩილო
ესა მსურს მხოლოდ:
გ უ ლ ს ს ხ ე უ ლ ი გ ა დ მ ო ა ყ ო ლ ო...

I I ვარიანტი

ჩემო იისფერნაწნავიანო!
მსურს ტალღასავით მოგელამუნო, მაგრამ მრცხვენია,

სამყაროს შენსას სიზმრადაც არ ვარ განდობილი.
და მეც ვსაპყარობ, ეთეროვანო ჩემო დობილო!
არ ვიცი როგორ უნდა მოგმართო
ჩემი კაცური ბუნებაა უკუღმართი
თუ შენი ქალური სიმყუდროვე სიტყვას მიჰყიდე,
მიაფლანგე, დაუზოგავად,
ლანგრით მოგერთვა აღიარება!
რის გამოც თავი სიკვდილად სცანი,
სად ამაქმანე ჭირვეული მუზის ლებანი?!
მაცდური ტანი აღარც მამრს და არც მდედრს ეკუთვნის
ხორცის საუფლო მჭლე, უსქესო სიტყვით შეფუთნე,
მე შენ გიბრძანებ, დედაკაცო:
საკუთარ ექოს დაუზავდი ლექსთან, ნუ ანცობ,
ქალების მიერ ნაცოდვილარ სიტყვას უთუოდ
სამოთხესავით უხარისხო უხდება ნავთი!

I I I ვარიანტი

ჩემო იისფერნაწნავიანო!
მრცხვენია, რასაც მომაწერენ,
ეს ავყიათა, უავშარო, ცრუ ენებია,
მე შენს ლექსებზე ნაბახუსევს დამთენებია,
გულიდან ვშალოთ უსაქმურთა მოხსენებები
სტუმრად მაწვიე,
შენი ღაწვი დაშანთოს სიტყვამ, მე რომ დავთოვლავ,
სტუმრად მაწვიე, ჭირვეულო მუზავ, შავთვალავ!
რომ ერთად შევსვათ სტიქსისაკენ მრბოლი მყოფადი,
არ გიყრი საკენკს, ჩვენ-ჩვენი ვთქვათ და მერე წადი!
არა გყავს ტოლი ხმაურიან ჭორთა მორევში,
არ გეჯიბრები, ლექსები ვთქვათ, მერე მომეშვი!
მრეში სათქმელი შენებურად აიდუმალე,
დავეწაფები ტრფობის სურას,
თუ გსურს კუთხეში დავეყუდები,
ვერ გავუგე საერთოდ ქალებს,
თუმცა არც კაცთა საზრუნავი ფხვიერობს ჩემში,
ძლიერი ცეცხლით მნათესაობ, ძუ სიტყვის გეში
გათანაბრებს მამაკაც მგოსნებს.
მაწვიე ლესბოსს, შექებისთვის ლექსივით მკოცნე!
თუმცა ვხვდები, რომ ჩვენ შეხვედრა არ გვიწერია,
შუამავლად ხომ სიტყვის ნაცვლად კაცი ჩადგება - ავგიას თავლა
და შეხვედრა არ გვიწერია,
კაცის გული ხომ სასიკვდილო, ბრმა ფიწლებია,
ჰოდა ჩათვალე, არაფერი მომიწერია!
ალბათ არცა ღირს პირველობა ქალი პოეტის
ასე საქვეყნოდ და ხმამაღლა გავახმოვანო,

გამაქილიკებს კაცთა მოდგმა, დროა მავანი
ჩემი სინდისი იმ ლესბოსურ ჭილოფზე კვდება
ჭკუისკოლოფო, შენი ნებით რომ არ დამიგე!
შენ ჩემი გრძნობის გამგებელო, არსთა გამრიგევ.
სხვისი ძაგება საამქვეყნო მკვიდრთა წესია
ჰოდა, იწამე, არაფერია მ ო მ ი წ ე რ ი ა!
2007 წელი

მოგვთა ვარსკვლავი

მთვარე სილაში
ათასწლეულ ფიქრის სიმლაშე,
დროის მირაჟი მთვარე სილაში.-
მე მის ძარღვებში ვბასრდებოდი ქინძისთავებად
ვარსკვლავად ვიშვი ქვიშრობიდან დროის წინაშე
მოგვთა ვარსკვლავად, დამებედა მე უკვდავება!

მზეზე დაწნულმა რიჟრაჟებმა მე დამაორთქლეს
ფიქრი - წიწვები,
ლორთქო დრო-ჟამთა შებმა ზოგჯერ მაინც მიწევდა,

მთვარე სილაში ასწლეული ჩვენი გაცნობის
მთვარე სილაში და უმზეო შუქის ტატნობი!
მთვარე სილაში მირიადი ჩვენი თანხვედრის
უფრო ტევადი ვიდრე სული მამრის ამ მდედრის!
კოსმოსს გაარღვევს მზის ჩურჩული მთვარის წინაშე
მოგვთა ვარსკვლავი ღრუბლის აკვანს არწევს სილაში
25/I/2002.

ტრიპტიქი

მხსნელო!
ყოველღამე ნახულობ სიზმარს?
საიქიოსავით უხმაურო თვალებში
შენს მოლოდინში მიძინებულ ქალწულთა
სუნთქვა ანთია.
იქნებ ხმელეთი ამანათია?
სივრცის უწონობით შეფუთული
პირველი ფოთოლი ადამს თუ მოსწონდა?

მხსნელო!
ყოველღამე ნახულობ სიზმარს?
თუკი ასეა, სიბნელის ჟამს
უერთმანეთოდ ვშორდებით კოსმოსს,

რომელსაც გაღვიძებული სიტყვის მადლი
სულ ვერ შემოწერს.
სიზმრად იმ მხარეს წარმიძღვები,
რომელიც ცხადში ვერ ვაღიარე,
უერთმანეთოდ არსებობა სიზმრად შემოწმდეს
და თუ უსიზმროდ გადადიხარ უცხო ზეგანზე,
შენ მარტოობას მიწის ჩქამიც ვეღარ შემოწერს!

მხსნელო!
სიკვდილის ავტობიოგრაფია სიცოცხლეა?
ტექნიკის ზესვლა სამყაროთა ნეკროლოგს მოასწავებს?
იქნებ სიმართლე აუხდენელი სიზმრის ქაფია,
მოუნელებელი ულუფასავით ჩამოგვირიგეს
ცნობისმოყვარე სვავებს!

მხსნელო!
როდის ჩამოვქვეითდით ერთმანეთის გულებში,
როცა საუკუნის რელსებზე აღვზევდით?
ერთმანეთს შემთხვევით გადავაწყდებით
მიწის სავარგულებში,
როცა ლექსებზე ხელი ავიღეთ
და ცხოვრება ჩამოცხედრდა გვერდით!

მხსნელო!
ჩვენს ნაცვლად შენს გადასარჩენად რომელმა იომა?
ამდენი საუკუნე ბელტივით ჩაბრუნდა ჭაში,
ცოდვა დაბრუნდა – სხვა პლანეტის უსულო თეფში
რამდენმა იომა?
დროა ვაღიარო: წაუკითხავი დამრჩენია კაცობრიობა!

25/I. 2005

სიმართლის ექო

შენ აღიარებ:
მანდილოსნების ყურადღებით ხარ პატივმოსილი,
ყურს მჭრის ასეთი პატიოსნება
ჰორიზონტს ჩემსას ელვა მოსილავს

სიმართლე თითქოს მე მცემდა თაყვანს
ჩემთვის ღრუბლავდა სუნთქვა კრამიტთა
ცეცხლთან რას მოვა, სიტყვა, გეთაყვა,
მან მომძებნა და აი, რა მითხრა!

რა გამიმხილა აუწონავად ქარიშხლის სილა ცამ შეისრუტა
მის სანახავად რატომ არ წავალ,
არ მიმაჩნია ცა სიზმრის ქუდად?
ეს რა უებრო თავდაჭერა მრჯის და დასწავლილი ქცევების ხლება
რომ ვყოფილიყავ ნამდვილი მარჯნის აცეკვებული ჩქამი თავნება
თვალცისარტყელა ბავშვების მსგავსი გაუსუნარი,
ღორთქო ჩუქურთმა

ჩამომეკირა ზღუდე რამხელა, ლეშსაც კი ზარავს შიგ მოთავსება!
მე ქალაქური დაძაბულობის უვადო ტყვე ვარ, მანდილოსანი
ოდესღაც ოთხფეხს ვაჭმევდი ქატოს, ჩვილს ვუმღეროდი
ხოლმე ოსანას,
სასაცილოა გერქვას პოეტი, და უბრძოლველად ყრიდე იარაღს,
სიმართლის ექომ ვით მეცხრე ტალღამ,
დაუცველ გულზე გადამიარა!

4/XI.2005.

უფსკრულნაგები ჰანგები

ჩამოიხედე ჩემს უფსკრულებში,
მე აგიცეკვებ სიკვდილის ხედებს,
ჩამოიხედე! სამტრედეში დღე შუქს იბრალებს
სიმართლის ლეში ჩემს უფსკრულში
უჩუმრად ობლობს. ჩამოდი, ნახე,
გული როგორ დუღს უმეზობლოდ!

ხორუმს უვლიან მზის საათზე დროის ლებნები,
თოვლიან ფიქრის ხაფანგებში ისე ებმები,
ჩემი უფსკრული ცის ნაქონი ცრემლი გგონია,
აქ სამშვიდობო გზა არ გადის, ელვის ფონია!

ჩამოიხედე ჩემს უფსკრულში ჩააგე ხამლი
მე გაგრძნობინებ მზეჩაშლილ ხედებს, ჩამოიხედე,
და გულს უბრძანე: გადარეცხოს ლაქა წაგების,
უფსკრულნაგები ორთქლი გიხმობს სიკვდილჰანგების!
17/III/2005.

შვილებს

მე წუთში ერთხელ გიკრავთ თასმებს,
სიმძიმეს მასმევს დრო,
ვინც არ ჰგავს მწირს, არც ფარაონს,
შეგიკრავთ თასმებს,

აქილევსის ტერფი შიშველი,
არ გამოგიჩნდეთ
წუთისოფლის სააშკარაოდ!
25/I/2005.

იაზონის სიმღერა

თვალუწვდენელი სივრცის ქომაგო,
შემაძლებინე ავზიდო წალდი,
სიკვდილზე მტკიცე შევკრა ხომალდი,
დროზე მედეგი ძმობილი: არგო,

გვერდში მედექით, ფათერაკებო,
ღმერთებო, მიხმობს გზა საგანგებო,
და შეერთდება სივრცე, თავმდები
სუნთქვის მარყუჟში არგონავტების!

დაჭიმულ ძარღვზე მზესაც შეიშრობ
ფრთხილად, დობილო, ტალღებს გაშორდი,
შემომინახე ქნარი და კორდი,
ვაჟკაცის ხსოვნას თუ შეიშნოვებ

ხომალდი უფრო ჭირვეულია
ვიდრე ბედ-იღბლის მრეში ბექობი,
მთვარევ, მეგზურად აღარ მეყოფი,
ცა წინათგრძნობით დაისრულია!

საით, ხმელეთთან ომის მოსურნევ?
შენ- დედისერთა ფიქრით აღვსილო,
საფეთქლებს გიმღვრევს ქარბუქის ტილო
სისხლში იგუბებ კოლხეთის სურნელს
თუ დაიღუპე, ღირს კიდეც ამად
გულმაგრობს კოლხი მხნე და ფრთამალი,
მათ მეისრეზე გეჭიროს თვალი,
ცას რომ დაასწრებს ზავთსა და კამათს!

ნუ გაუცინებ უცხო მწვერვალებს,
ზეგანს, ხანდაზმულს ხელისგულივით
შემოინახე თავი ხნულივით
და თუ აიცდენ ჯადოქრის თვალებს
და თუ დროც შენი მოიმედეა,
ცოდვას გმირობად აქცევს მედეა!

სხვისი გულით და საკუთარ მკლავით

მოპარულ გრძნობით, ღალატის ჟინით,
ასწლეულს მიღმა ჩამწყდა მზე შიგნით,
საით მიცურავს, ღმერთებო, ნავი!
3/XI. 2005.

ფერი კოსმიური

ვერცხლში მოსევადებული მინანქარივით ფრთხილია წვიმა,
ფრთხილი, ფაქიზი,
ცხოვრება თავზე დაგვეცემა, როგორც კარნიზი
ვადაგასული, უხარისხო, მოუხრახნავი.
ღრუბლები ზეცის სანთიობოს ეჭვით დახრავენ

შენ-იობივით მიეცემი ფიქრ-საჩრდილობელს
არავინ დარჩა მიწის კუნთზე ღმერთის მხმობელი!
არავის ულხინს სხვისი ნათლის დასაპურებლად
ყოველ ჩვენთაგანს ბორკავს სევდის აპეურები,
რომლის აწყვეტა სიზმარშიაც აღარ ხერხდება!

ჩამომწკრივდება მოგონება რუხფრთა მერხებად,
რომლის კიდეზე მოკრძალებით ჯდება სიკვდილი,
რა უნდა ვუთხრათ?
დავუხვედროთ ცხელი სიცილი
თუ მჭმუნვარება დაკემსილი ძონძების ფასად?
ფიქრის მორევი? რძესავით რომ უნდა გაიშრო?
ცინიზმი? გულმა ვერაფრით რომ ვერ შეიყვარა!

ოქროცურვილი სიზმარივით რბილია წვიმა,
ირიბ-ნაქარგი,
ვინ შეიმეცნა წუთისოფლის ზღვარი, ავ-კარგი?
ყელსაბამივით ციური შუქი,
რომლის შეხება კოსმიური დღიდან დავკარგეთ!
1/VI/2002

* * *

მონატრებული სახლის გზისპირთან
მზეს თმას ვარცხნიდნენ ქრიზანთემები,
სულში სიჩუმე იდგა ძლისპირთა,
ცა დროს კენკავდა ღრუბლის ვარცლიდან,
წარბს იჩრდილავდა მზისგან მთაწმინდა,
სივრცეს ნესვივით კბეჩდნენ ფილტვები,
მიწას გაყიდის ვიღაც იაფად,

ფიქრად ასხმული ქრიზოლიტები.
ისევე არ სწამთ, ვით კაიაფას, -
ხმელეთი - დროის მცირედი რუკა,
კამათელივით აღმა ნატყორცნი,
ალბათ, ვერასდროს დაიხევს უკან
უძღები ძვლებით ნაპოხი ხორცი.
2005

პოეტის ხმა

ძილს გამარიდეთ!
ომს ვუცხადებ მე მკვდარ სტრიქონებს
სიტყვის დადაფნულ შუბლის კიდეს
ყრუ სტრიქონებს მივანარცხებ!

ვიწამებ არცერთ თვითმარქვია, უსისხლო ჭიდილს,
ხელი არ ახლო, კალმის წვერზე იღვიძებს მჭიდი
სამყაროს მიღმა არსებული ეთეროვნების

ცხოვრება-იღბლის პირსახოცი, ლექსის მპოვნელი
სად მოვიძიო?
ვის ვკითხო სისხლის არზები?
აქეთ მოიწი, ზოგჯერ, მიწას ვედარბაზები!

ბრწკარები-ფიქრზე ჩამომხრჩვალი ყომარბაზები
ფერსულს უვლიან,
და სიმარტოვის შლეგი ჩანჩქერი
ჩემი გული, კვლავაც გლუვია

უხმაურო განგაშის მკვეთი,
დღეს ჭორი დადის:
პოეტის ხმა გაუქმებულა,
ჩვენც ფულზე მეტი
დავუწეროთ ამბის მთქმელს ქულა!
16/XI/2005.

* * *

უფლება არ გაქვს თქვა: რომ დამარცხდი,
და რომ შენს ქანდაკს მარსზე დადგამენ,
ცხოვრება ზოგჯერ ვარცლია ნარცხის,
და მაინც უნდა წარმოთქვა: ა მ ე ნ !
2000 წ.

* * *

გამოგიწოდე მარჯვენა-ტირიფი უტყვი ლოცვებით
თუ მიწამ არ შეგაჩვენა, საჩემოდ ნუღარ მოცდები,
იდუმალ ფიქრით ნათალი რატომღაც მეიმედები,
სულაც არ გავხარ ფატალისტს,
ჰოდა, ნუ შემეფეთები!
ჩემს სიმარტოვეს მზე არ ღლის,
და ვერც ძმად გაგეფიცება,
და შენი გული-ბრმა არღნის
ექო დრომ გამოიცეკვა.

23/XI/2005.

****

შენ ახლა ზღვაზე გულთამპყრობელობ
გულს ბადესავით ციმციმ გასტყორცნი,
მიმძიმს ქუფრიდან გამოსმობილო
შეგიმსუბუქო უსაზღვრო ხორცი

რა შეგაშველო ხორცის აღლუმზე
როგორ დავიცვა სიჩუმე ცათა
მზის სინდისივით ძვირო ქართველო
ჩამოწყდა სიტყვა ღრუბლების კალთა!

შენ ახლა ზღვაზე გულთამპყობელობ
კამათელივით გულს შორს გასტყორცნი,
სიჩუმის რთველით ფეთქავს სამშობლო
სახელად ჩემი, უჩვევი ხორცის
21/VIII.2005

მაღაზიაში წიგნების

(ეძღვნება X-ს)

მაღაზიაში წიგნების,
ჭირს წუთისოფლის მიგნება,
სტრიქონი ღმერთთან უფროა
შეხორცებული ობლობით,
რამდენი სასაუბროა,
ძგერს გული უსამშობლობით!

გადატვირთული, ნაჯიჯგნი,
წიგნი-ჟამწაუკითხავი,
რა ძალა გვადგა სტრიქონთან
ქვიშის ფერფლი რომ მიგვქონდა?
ვინ მოგვიჭერდა სადავეს,
გვემწყემსა ბედი სადაო,

გაუმართავი წესრიგის,
ყალბმოციმციმე რითმების,
აფიშასავით ცუდმავალ
ცხოვრებას რისთვის ითმენდი?

მაღაზიაში წიგნების
ჭირს სიმარტივის მიგნება,
სიმართლის თქმა თუ გაბედე,
სტრიქონი სუნთქვას აფერდებს,
და როცა აღარ ვიქნებით,
დაგვიტირებენ წიგნები!
4/VI.2005.

იდუმალება

უხსოვარ დროს არ მახსოვს
ვინ ვიყავი, რა მერქვა,
ჩემს სანაცვლოდ ფასკუნჯებს
მიწა ამოექერქათ,

სივრცე გადაეტკეპნათ,
ზღვა ქვიშაში ჩაერგოთ,
ღრუბლის წვერზე ჩამომჯდარ
მზესაც ვერა გაეგო

მთვარე ვარსკვლავს კენკავდა,
ქარს თმები აქვს სოსანის,
ნიავს ცეცხლი ვეგონე
მთის სურნელის მყნოსავი

ჩემი ავან-ჩავანი
მგონი, დრომაც არ იცის,
საგზლად ლექსი მეყოფა,
სიტყვის რძე და ლავიწი!
29/III/2002.

* * *

რა ხანია ტირიფივით
ძირს დამცვივდა მხრები,
და მათხოვრის ცრემლის გარდა
ლექსებს ვესარჩლები
4/XI/2005.

* * *

პოეტი საზარბაზნე ხორცია,
ლექს წერ? საიმქვეყნოდ მოგცლია.
სიტყვა განიავდა ხმაურით.
ბრბოს გასართობად ნუ აურევ!

ზღვაური დაგიძახონ სიბრაზით
შფოთვაა შთაგონების ემბაზი,
დაგვცინონ, გაგვკიცხონ, გაუშვი,
სიმართლის კვერთხი არ დაუშვა!

პოეტი საზარბაზნე ხორცია,
სისხლს წონი? საამქვეყნოდ მოგცლია,
სიტყვა დახურდავდა ხმაურით,
ლაჟვარდში ბრმად იმოგზაურე.
16/XI/2005.

საზღვარი

სადღა გავავლო ჩემი ქვეყნის მკვიდრი საზღვარი,
სად გავავლო?
ჰე, ქართველო-უცხო ქვეყნად ცუდად მავალო,
სადღა გავავლო მე სამშობლოს მტკიცე საზღვარი,
მიმითითე!
ამირანსაც ამტვრევენ თითებს,
გულ-ღვიძლი უკვე უპირობოდ გაყიდულია!

რისთვის ვარისხო ტაძრის ზარი?
რისთვის ავკინძო დანაღმული სულისთქმა ლირად,
საქვეყნო საქმე გაასვენეს,
ჰყვებიან პირად, წვრილმან ჭორებს
ვითომ ურიგო მოსასმენია
საქართველო როგორ დატორეს

ნატომ, გაერომ, ევროსაბჭომ თუ ჩაფხუტებმა
ასე მოჰყვება სხვა ძალასთან ცრუ ,,ჩახუტებას!”

სად დავადგინო ჩემი ქვეყნის მკვდარი საზღვარი
ვიღა ვაგინო? გადავიღო ეგება კინო,
დაღვინდება ალბათ მომხდური,
რუსი უბედური ისევ მძავლობს,
ვერ გაგვიგია რომელი მხრიდან
ვაწარმოოთ ნაღდი შეტევა,

სადღა გავაკლო ჩემი ქვეყნის მკვიდრი საზღვარი,
ხელისგულებზე? სადაც ცრემლიც აღარ ეტევა?!
25/I/2005.

მიმართვა დედას

ლექსებზე მეტად სულდგმულობ ჩემში,
შვილებზეც მეტად
შენ-დაკარგული სამოთხის მკვიდრი,
ერთადერთო ქომაგო ჩემო,
სიცოცხლეზე უერთგულესო სიმღერავ, დედა!

მე შენი მზერა შეჩქვიფებულს
მაგონებს ხატებს,
რამდენ სულს კურნავ,
ვისი მზე არ ააქათქათე!

უებრო სისხლი, შენი სისხლი
რად არ წვიმს ჩემში?
როდის დავნებდი ამ სამყაროს
ზიზღით გალეშილს!

როგორ მოგდიო
უსაშველოდ თვალუწვდენელო,
დაუკარგავო, აღდგენილო სხივო ედემის.
ლექსებზე მეტად სულდგებულობ ჩემში,
შვილებზეც მეტად,

შენ დაკარგულო სამოთხის მკვიდრო,
ერთადერთო ნუგეშო ჩემო,
სიცოცხლეზე უერთგულესო სიმღერავ: დედა!

14/III/2006.

ქვიშის სიმფონია

მე შენს ბრძანებას ერთადერთხელ დავემორჩილე,
მზით დაჩრდილული ქუთუთოები უნდოდ მოვხუჭე
ფუჭი სურვილის სუნთქვა მწვდა და ვეღარ მოვდუნდი,
ფიქრს გამოვედე, როგორც მტრედის ურითმო ხუნდებს
“-გამომიწოდე, აბა ხელები!_
შენი ხმიდან ამოიტალღნენ იდუმალი სევდის ხედები,
პატარძლის კაბა არა, კვლავ მყვირალა ჯინსები მეცვა
მაშინ შენს ხმაში რკინამ იალა, ფიქრმა ჯვარს მაცვა!
და ქუთუთოებს დაეზარათ თვალის ახელა,
ადამიანებს არ ბეზრდებათ ძებნა სამხილის:
იმ დროს შენ სხვისმა სიახლოვემ თუ გასახელა,
ვიცოდე მაინც ვისი სისხლით ჯღაბნიდი ბარათს?
უნდოდ გაწვდილი ხელისგულები
ყვავილს თუ არა მზესუმზირას მაინც ელოდნენ
“_მონაზონო, ვერ მიმიხვდი ოინს სრულიად,
შენი ფიქრი ხომ ჩემს სიცილთან გაფიცულია!” -
გამომწვევად წამოისროლე და უხმაურო, მძიმე სიტყვით
ამივსე პეშვი
სიტყვამ მიმტყუნა! მის სანაცვლოდ ხელთ ქვიშა შემრჩა
უსიტყვოდ დავფრთხი: რა გვეშველება,
რომ დამჯაბნო და შემოგრჩე, როგორც უმზეო ქვიშა,
წეღან ძალით რომ შემომატყუე?
მადლობა უფალს, არ გვჩვეოდა არცერთს სიცრუე,
ის ქვიშა მე არ გადამიყრია რაც მართალია,
შენარჩუნებაც ვერ მოვახერხე
და ახლა ალბათ სხვა სივრცეებს უხმოდ ათბუნებს
რომ იცოდე, რა ბედი ერგო, წარსულის დღეებს
უსიკვდილოდ გამოიგლოვდი
არ გაწვებოდი გულზე როგორც წინაპრის ლოდი
უ ს ა შ ვ ე ლ ო გ ზ ი თ ა ნ ა წ ო ნ ი !

ვერ გაგიმართლე იმედები, ვერ გამოვდექი მონაზონი
ამქვეყნიერ სისხლში ჩამბალი ჩემი ხორცი
სულის ჭრაქზე უფრო გამძლეა
გეტყვი სიმართლეს:
პოეტობაზე, ოცნებაზე, ქვიშაზე მეტად
მ ე დ ე დ ო ბ ი ს ს უ რ ვ ი ლ მ ა მ ძ ლ ი ა!

7/I.2006

საუკუნის ხელშეკრულება

პოეტებო! მგოსნებო! მოშაირენო!
დროებით დაუტევეთ თქვენი სავანე,
თუ არ დამიტევთ, გაპოვნინებთ გამოსავალს
უმკითხველოდ როგორ აღზევდეთ,
თან მუზაც არ გაანაწყენოთ,

მე არ გთავაზობთ ლექსის წერა ასწავლოთ ენოტს
და არც მუხლებზე დაუჩოქოთ ათას ლიტმცოდნეს,
ღმერთმა გაშოროთ, არ მიბაძოთ წინაპარ ცოტნეს,
დღეს გმირობისთვის ისტორიის ქეთზე მიჯაჭვა
გავლენიანი უნიჭობის ხვედრია მხოლოდ!

ნუ აჩქარდებით, არ მსურს რისხვას გადამაყოლოთ,
არ დაემსგავსოთ გაძვირებულ სიგარის კოლოფს,
უმკითხველებოდ როგორ გავძლოთ?
პოეტისთვის სიტყვაა სარძლო და არა ტაში

ცოტაც მადროვეთ, კომპიუტერს გავგზავნი მთაში
არა, ხუმრობა ჩემზე უკეთ იმას გამოსდის,
ეთერში სინდისს სარეცხივით როცა გამოფენს
ჩემს მთავარ სათქმელს ნუ ამაცდენთ, დამიგდეთ ყური,
ზოგჯერ სიძველე გვევლინება გამარჯვებული
დროა გახსოვდეთ, მაგალითისთვის ვიშველიებ აგერ, ელადას,

გამოტყვრებოდა სანამ ესქილე,
ერთ მსახიობზე იტეხდნენ კბილებს
ეს უთავბოლო პერსონაჟები!
მოკლედ, ეს ერთი იყო ყოველი
და მეც გულწრფელი შვებით მოველი
ავაღორძინოთ ძველი ადათი:
შევწყვიტოთ ღრენა, ურვა, კამათი
პოეტი ადგეს და შეთავსებით
მკითხველიც გახდეს, მსაჯულიც, მტერიც,
ერთი ათასსაც დავემსგავსებით
ჩვენვე ვიქნებით თავის მომრევი
წერ, წაიკითხავ, დაბეჭდავ, იტყვი,
ყველგან იხტუნებ, ვითარცა ციყვი,
შენვე იქნები წიგნის მყიდველი
და იდეების გადამყიდველი
მოშაირენო, მგოსნებო, პოეტებო!
დამთანხმდით, დავდოთ საუკუნის ხელშეკრულება,

სხვა გზა მაინც არ გაგვაჩნია.
ხომ გაპოვნინეთ გამოსავალი
შორს ჩვენგან თვლემავ, შურო და ღვარძლო,
აბა თქვენ იცით, როგორმე გავძლოთ!

29/I/2005.

ლექსისადმი

რას მერჩი?
სუნთქვის ნაცვლად შენ მკვიდრობ ჩემში
და ჰამაკივით ირწევა სისხლი
სიჩუმის უტყვი ჰარაკირი
აღარ მიამბო მტვერდავსილი არაკი ღმერთზე,
ვინაც უწინ იშვილა სიტყვა,
ჩემს ძარღვებში თენდება სილა და არა სეტყვა

რაღას მიმზადებ?
მე ყოფითობას გავეფიცე ფიქრში უზადო,
დათმობას აზრი დაეკარგა,
ბგერის სადაფებს შევეკედლე, გავსრისე ქარგა,
მაინც არ მომდევს ცის სისადავე
და არც მიწის ღვიძლზე ვირევი,

კაცად მიხმობენ, სისხლი მომქუხს ნაჩოთირევი
შეუწყნარებელ ბუნებისგან ნაალაფარი
ჰა, ჩემი გული-მზის სანგარი,
ჩრდილის საფარი არანაკლებ მარხულობს ჩემში
რაღას დამაკლებ?
ვინ დაგიკავებს დედამიწის მოწამლულ რბილობს,
აბა, რას ცდილობ? ცას რად მარისხებ?
კაცობრიული წესრიგიდან
როგორც სიკვდილი, უიალქნო, მიწყივ გამრიცხე!
თორემ ჩემს ფიქრს სიშმაგე აქნის,
არაფრის მაქნისს ლოლიავით აუწევს სიცხე

ამაოდ ცდილობ
მე გიშვილო და გისაშველო,
თუმც გავხარ ღვთისშვილს: ხელთ გიპყრია
რუხი საშლელი
სიკვდილზედაც უფრო მომწყვლელი?
ყველაფრის ჯიბრზე მოვლენილო
ღვთისშვილო-სიტყვავ!

24/XI/2005.

სიყვარული
(ეძღვნება ჩემს დიანას)

რატომ აღარ ვუსურვებთ ერთმანეთს
ხვავს და ბარაქას?
სიყვარული თორმეტი წლის იესოს წააგავს,
ოტებულს მშობელთაგან, ტაძრად ლოცვად დაღვრილს
ნუ შემოიმტკიცებთ ბოროტების აღვირს.

სული თაღია ცრემლის სტალაქტიდებით
კარში სდექ თვალღია, იმ მსოფლიურ მზითევით,
ამქვეყნიურ სევდით, წუთისოფლის კიდობნით,
სიზმრის საცეცებში სიკვდილსაც ვჯობნით.

დედამიწა სადღაა? მზის დაფრთხობა გაბედე?
ცხოვრება დამღაა, სიყვარული—სამტრედე.

2005.

დედას

დაუოკებულ სისხლის ზარხოშში
ღვთიურ სიყვარულს გვაწვდი ულევად,
შენ როგორ მოხვდი ამ სამყაროში?
სულს აამზევებს მინანქრის ღაწვი

დედავ, სუნთქვაზე უფრო თბილია
გულისთქმა შენი-საზღაპროდ მჩენი
და სიცოცხლეზე უფრო მედეგი-
ჩვენთვის შექმნილი დღის იდილია!

რომ შემეძინოს ათასი შვილი,
შენსავით ვერც ერთს ვერ შევიხორცებ!
ამღერებული მშვენება შენი
გააოგნებდა მედიჩს თუ სფორცებს!

და შენი სულის ბროლის ხვეულებს
ადამის მოდგმა როგორ მიბაძავს?
დედა, შენს ფერხთით მუდამ ვლოცულობ,
სულს გწირავ-უფლის ხელდასმულ ტაძარს!

19/III/2006.

* * *

სად ჩაიკარგა ჩემი ხმა,
ხელშეუვლები ზოდივით
სიმარტოვეში განკაცდა
ფიქრს მიღმა გადაშოლტილი,

სად ჩაიზნიქა სისხლმძიმედ
ვინ მიუძღვოდა ავზედითს
ღრუბლებმა გამომიძინეს
ლექსად ხლება ვერ გავზედე,

ლექსად ვერ გამოვქანდაკდი
ვერ გავცდი ქალაქ-სარკინოზს,
ბალახი წვივზეც არ ამდის
სივრცეს როგორღა ვურქინო?

სად ჩაიკარგა ჩემი ხმა
მზემ დედა როდის მიწოდა?
სიმარტოვეში განვკაცდი,
გული კვლავ დედამიწობდა!

24/III.2006

* * *

ავგაროზივით ჩამომეღრუბლა
ეს დედამიწა, გულისფიცარზე
კიდევ რამდენჯერ გაიროზგება
ან ჩაგვეფშვნება სულში ცარცივით?

ნებას გვრთავს თიხის ფეხისგულებით
გაძევებული სამოთხე ვძერწოთ,
სისხლით განტოტვილ მუზეუმებში
ქილიკობს მოდგმა – სატანის კერძი

ჯვარზე გაკრული ბუნება უქმობს
ხიჭვივით ვიძრობ სინათლის ჩქერალს
ხმელეთი შეგვრჩა ძველმოდურ კუბოდ
გზის ამოსვლისაც არავის სჯერა!

25/III.2006

მითრიდატესთან

იმ კაცს არ ჰგავდი, ვინც ნებაზე მიუშვებს ჰუნეს,
მეისტორიე მძიმედ ჰყვება: მტრადშობილმა
                                    შვილმა გიმტყუნა,
საკუთარ სხეულს შენ სიკვდილი თავად არგუნე,
რადგან იცოდი სულის ლოცვა საუკუნოა.
საჭურველთმტვირთველს რა ენაზე უბრძანე: „- მომკალ?! -”
ქუხილით სავსე სისხლის ცეკვა ახლაც მატყვია
რისი მაცნეა, ოდესღაც თუ ზეკაცი გერქვა?
შენი გმირობა ექსორიაქმნილი ფაქტია!
მემატიანე კვლავ განაგრძობს დამუნათებას
თავი რომ მოგვაქვს, ოცდაორი ენა იცოდი!
ვქმნით მრავალნაცად, ზეგრძნობიერ ტექნიკურ ნობათს,
სიმბოლოდ გვექცა ბედისწერა ბრმა უვიცობის
საჭურველთმტვირთველს ყბა მოექცა, გაცუდდა ფიქრი,
ხელიც დაუჭკნა მახვილივით, სიკვდილნაწრთობი,
ურჩ ტალღასავით დაგრაგნილ მუხლს კრძალვით მოიყრის,
ომში გაშოლტილს, ხვეწნა სულაც არ ეხერხება
„ - გამშორდი! ასე უადგილო სინდისის ქეჯნა
ახალ ღალატის ყლორტს ამწიფებს ეჭვნარევ გულში,
მხნედ დადექ, ძველო მეომარო, ჟამმა ჩამოჰკრა!
ბრძოლით მაძღარი რკინის ხელი ნებას მიუშვი,
ამანაპერწკლებს დღეის აქეთ სულ სხვა ხანძარი
იჩქარე, სწრაფად მოიწვიე ავსულთა კრება
და ჩემი სული უკვდავთ მოდგმას გადააბარე!
ჟამმა ჩამოჰკრა, აღასრულე, რაც დაგეწერა!
ბედნიერი ვარ მოსისხარის ხელით არ ვკვდები,
დედის რძესავით შეგერგება ომის ფერწერა,
მაშ, დაასწარი, შვილის ღალატს ვექომაგები,
და ჩემი სისხლი მზის ოფლივით მშვიდად დაღვარე,
გატრუნულ მშვილდის რისხვით დაწყდნენ ის ქოფაკები,
ჩემი ვაჟკაცის რომ შეხსნიან სირცხვილის კარებს!

29/I. 2006 წ.

***

როცა ჩემს სახეს არ სცალია გასაშუქებლად
და ფერად ღიმილს სასაფლაოს ურდული ადევს,
მაშინ მინატრე, მომიგონე, პატივი დამდე,
უნარი შეგწევს უნიღბო სულს ელოლიავო?

როცა რითმებით დაღლილ ხელში ცეკვავდა სუფრა
ბავშვების სარეცხს განედევნა წერის უფლება,
ვიცო მაინც როდის უფრო ვუყვარვარ უფალს.
წელში მოხრილი თუ როცა ფიქრს ვიცვამ ღრუბლებად?

როდის გიყვარვარ? როცა თავი ისე მიჭირავს
თითქოს სამყარო ჩემს სურვილებს ემსახურება,
როცა ვხმაურობ უწესრიგოდ, როგორც ჭრიჭინა
და მიზანს ხვდება დახვეწილი ჯიში ხუმრობის,

მე როდის მიყვარს ჩემი თავი? როცა ვდუმარებ
            და როცა სიტყვა ჩემი სულის ყმობას აიცდენს
სიმარტოვეში რომ ვდარაჯობ მზის სასთუმალებს
და უსინათლო სიმყუდროვით მაბრმავებს განცდა

როცა ჩემს სახეს დრო არ ჰყოფნის სამხიარულოდ
და ფერად ღიმილს სასაფლაოს ურდული ადევს
მაშინ მინატრე, გამიხსენე, პატივი დამდე,
და ნუ იფიქრებ კუდიანის გესმა არული!
7/I/2006.

სიჩუმის სპეკალები
(გალაკტიონისებურად)

სევდის სეფექალები,
სიჩუმის სპეკალებით,
სივრცე სულაც საავდრო,
სამერმისო სონეტი,
მოდი მონეტასავით
მოვიმწყვდიოთ მომენტი,
მუჭში, მონუმენტური მარმარილო მღვიძარებს
აალდება ანძაზე
ანათემა აფრების კედლის
კალთა კაფრების
კალამბური კლარნეტის
კვდება კადრი კლარჯეთის
კანკელები კლდეების
სუნთქვა სულის საუზმე
შუქი შურს შეერიოს
სევდის სეფექალები
სიჩუმის სპეკალებით
აზონ აღარ არსებობს
და აღარც აქაველი
ამირანი აანგრევს
ამქვეყნიურ არენას
ქალდეს ქარაშოტიდან
ქვეყნად ქმნილა ქართველი!!!!
2006

ყიოდა ჟამი

ცის კაბადონი სასაფეთქლედ აჩნდა გორგასალს,
ყიოდა ჟამი, არ ისმოდა: „ვაჰ, დრონი, დრონი!”
ომში ნალს კვნეტდა ახოვანი მეფის თეთრონი
თაღოვან სივრცეს გადამეტდა ი ე რ ი ქ ო ნ ი . . .

ჩარღვეულ პერანგს დაღუპული სატრფოს თვალები
გავერანებულ მაყვლის ბუჩქის აჩნდა ეკლებად,
ღვთისგან უშიში, მტრის ღალატით ნავალალები
მეფე ქართველთა, სიკვდილს ჩვეულ რიხით ეკვეთა!

ღრუბლის აკვანში დაისისხლა მაშინ მარიხი
ყიოდა ჟამი, არ ისმოდა: „ვაჰ, დრონი, დრონი”.
ცის კაბადონი სასაფეთქლედ აჩნდა გორგასალს,
ცრემლებს მალავდა ობლადქმნილი მეფის თეთრონი.

8/IV.2007.

***

უკაცურ კუნძულს უშენობა ამშვენიერებს
ცა მიაქვს სუმბულს, მე მოვჩანვარ ისე ხნიერი,
დადინჯებული ტაროსივით, უხმოდ ვდორდები
ვნების აკორდებს ავგაროზის ლაქა აკვდება,
სადღაც მთავრდება სულთათანა ამ სამყაროსი!
ციხე სიმაგრეს ჩემსას ფეხი მაშინ აუდგამს
სიჭრელე ქვეყნის ქაოსებსაც რომ ვერ აოსებს,
მზეში გავქვავდი, სიჩუმე მკლავს უბედნიერო
ყვავს ღრუბლის თოკი დაუწნავს და მდევრის იერით
ხვეწნის გარეშე სიმარტოვით მაბედნიერებს.

18/V/2007.

კოსმიური სივრცე

მე ავიფარე თვალებზე ღრუბელი -
სპილოს ძვლის მარაო,
ფიქრი ფარასავით გაიბნა, ვინ მოსთვლის
მზემ მერამდენედ შეკრა კამარა!

მე შევეფარე ვარსკვლავს-ქვიშის წახნაგ საყურეს,
მემთვარა დილა,
მარტოობასთან საამხანაგოს რატომ დამყურებ?

კოსმოსის ბედი უჩვენოდაც გადაწყვეტილა.

მე ავიფარე თვალებზე ქარბუქი
ავაზად გაწვრთნილი,
და ვგავარ ავაზაკს, ღმერთი რო ვერ იცნო,
უჩუმრად გაზრდილი!

მე ავიფარე თვალებზე ღრუბელი-
სპილოს ძვლის მარაო,
ფიქრი ფარასავით გაიბნა, ოცნებობ,
ხმელეთი ბინდივით დააპატარაო
7/I/2007.

შალვა მჭედლიშვილის ხსოვნას

წავიდა ჩვენგან მემატიანე,
ღმერთივით სუფთა, შალვა ბატონი,
დრო-ჟამი სიკვდილს გაატიალებს,
ჩვენს მამულს თქვენებრ ვინ უპატრონებს!

ვინ აიტაცებს ჩვილივით ხელში,
სატუსაღოებს ვინ დალეწს წლობით,
შემოდის ეშმა წუთისოფელში,
როგორ წარმოთქვას ბაგემ: მშვიდობით!

ვის დავანებოთ ქვეყანა ესე
შებღალული და ვერანტიელი,
ცოცხლად მარხავენ, ვინც დაიკვნესებს,
აღარ ქუხს სისხლი ივერიელის!

პეშვიდან პეშვში დამზრალ თითებით
ყინულის ორთქლში რომ აგროვებდით,
ლეშად ვიქეცით ყალბი მითების.
ავაგეთ ზღუდე და აგორები!

უანგარობა გშვენოდათ ძლიერ,
ვით ათინათი მადლმოსილ ხატთა
ჩრდილს აფარებდით ძველქართულ იერს
მკერდით დაგქონდათ გელათი, ხანძთა.

ჩვენი სამშობლო _ ნიბლია ჩიტი
მოგყავდათ ფრთხილად, სულის შებერვით,
ვინც ერთხელ ღმერთთან გადახვეწილა
ყინულის სივრცეს ვეღარ შებედავს!

წავიდა ჩვენგან მემატიანე
ღმერთივით სუფთა შალვა ბატონი,
დრო-ჟამი სიკვდილს გაატიალებს,
ჩვენს მამულს თქვენებრ ვინ უპატრონებს?!

2007 წ. 8 მაისი

მარადიული იავნანა

ბაგაში შუქ-ჩრდილს ვესათუთები
ჩემი მკლავები აკვნად იწამე,
შემხსენ ბედ-იღბლის მძიმე ხუნდები,
ქედს იდრეკს მოგვი მდაბლად მიწამდე.

ჩვილი სხივოსნობ, დამენანები
ღმერთს რომ გიწოდებს ერი ჩივილით,
ცრემლად გაგყვება იავნანები,
ჩემი სისხლი და ჩემი ტკივილი

ეს იავნანა სიკვდილს აბერებს
ეკლის გვირგვინის გოდებას ერთვის,
და გვემისაგან დაბერილ ხელებს
ცას დაადევნებს, მზით მსჭვალავს მერმისს!

ეს იავნანა მომცრო ბაგაში
შემოპარულმა სხივმა გიბოძა,
როგორ დავძლიო შიში ქალური
ღმერთს იავნანას ვუმღერი როცა!

21/III. 2008.

იდგა ფარსმანი
(ეძღვნება ჩემ შალვას)

მარსის მოედანზე ქანდაკება იდგა ფარსმანის,
ათასწლეულთა დასაშინებლად თუ აღემართათ,
გახუნდა რომის შარავანდი, ხმაურ-აზმანი,
იბერთა მოდგმა დღეს უმღერის ცრემლს ქრისტეს კვართთან

იდგა ფარსმანი,
რკინის მზერით ცხენს ახელებდა,
შურმორეული
რომაელივით ბორგავდა სივრცე,
როცა ქართველი თავს საქვეყნოდ ისახელებდა,
გული ფარსმანის ომახიან ყიჟინად მიცემს!

იდგა ფარსმანი
იმპერატორს მიართვეს ტახტი
ქართველურ წესით ნაწრთობი და მზეშენაჭედი,
ჩვენ რომ ვნატრობდით, ბედაური შემკული რახტით,
ვინც გადასწონა რომაელთა ნაქები ბედი!

იდგა ფარსმანი,
როგორც პირმშო ზესკნელ-ჰადესის,
ქართული სისხლით ნაფერები ხმლითა და მშვილდით,
იდგა ფარსმანი ბებერ რომზე უპირატესი
იბერიული ცულის მსგავსად მძიმე და მშვიდი!

მარსის მოედანზე ქანდაკება იდგა ფარსმანის,
ათასწლეულთა დასაშინებლად თუ აღემართათ,
გახუნდა რომის შარავანდი, ხმაურ-აზმანი,
იბერთა მოდგმა დღეს უმაღერის ცრემლს ქრისტეს კვართთან.

7/III/2007.

მტრების გასაგონად

ძველი მტრები თუ მართლა დავკარგე
რა მოვუხერხო ახლებს, მითხარი?
ვინც მზეს სიზმრადაც ვერ მიმაახლა,
ტლანქად მიმტვრია სულის წინკარი

შურით ჩაუყვა იდუმალ მღვიმეს,
ჩემთვის დუმილის ბორკილი ჭედა
მედროვის ტახტი გაუყო ვინმეს
და სიმართლეზე ლაპარაკს ბედავს!

არც ისე უჭრის კალმის ფხა ხშირად,
იგონებს ათას ხრიკს და სამიზნეს,
მართალ ხალხს სიტყვა ვინც დაუძვირა,
მეც ვერ მამჩნევს და ღმერთო, მარიდე!

ძველი მტრები თუ შემომეცალნენ,
რა მოვუხერხო ახლებს, მირჩიე,
ოდითგან მომდგამს, რომ ვიდგე ცალკე,
მ ე დ რ ო ვ ე ე ბ მ ა გ ა დ ა მ ი რ ჩ ი ე ს!

24/III/2008.

დერვიშის წერილი

ახლა წერილს თხზავენ დერვიშები
სიტყვებს დასერილებს, ქვიშრობად ჩაშლიან,
დუმილით შევიშლებით ცხოვრებით მშიშრები,
ხვალ აღარ ვიშვებით, მომავლის ნათლიავ!

ჟამი არ დაგვითმობს მზის უთქმელ სიმაღლეს
ურთხმელის ხეივანს ვერ მივეჩრდილებით,
ვინც მარტო იბრძოლებს, ურღვევი სვე იმას!
გული – უთავბოლო წუხილის დილეგი
უტყვობს, მეკუბოვის ბარივით მძვინვარებს!

მთვარიან ბილიკებს აბინდებს მუქარით,
ჩვენს ბედს რა ვუთხარით?
მოლოდინის მყინვარებს
გავკვეთთ, ჩავინთქმებით ზესკნელის სტომაქში

ახლა წერილებს თხზავენ დერვიშები,
სიტყვებს, განდევნილებს ქვიშრობად ჩაშლიან,
უსიტყვოდ შევიშლებით წუთისოფლის
მშიშრები,
ხვალ აღარ ვიშვებით, მომავლის ნათლიავ!

8/IV. 2008 .

სიმარტოვის სიმფონია

სიმარტოვევ, ასერიგად
რატომ გამიშინაურდი?
ტყვედ ჩავბარდი ფიქრთა ურდოს,
სივრცეს მპარავ სევდის ქურდი.

შორს, იქ, განჯის მიდამოში
რა ხანია სული ობლობს
ჰო, რა გვიან შეგეთვისე
ჩემს ჩივილსაც მქისედ განსჯი!

სინათლესთან სამეზობლოდ
სადღაც, შენც წაიმტვრევ, კისერს
სიმარტოვევ, აუხსნელი მადლით

რისთვის იმოსები,

მკვდრისთვის უნდა შეაგროვო
 შუქ-ჩრდილების მიმოზები?
 ფიქრებს ტყვედ არ ჩავბარდები,
მძულს ეს ცრუ სარკინოზები!

სიმარტოვევ, ასერიგად
 რატომ შემომინაპირდი,
ნალურსმალზე წამომტკივდა
შენი უფრთო, თოთო კვირტი,
ვის დავუფრთხო სიყუდროვე
ვის მივანდო სულის კვირბი?

 სიმარტოვევ, გამეცალე,
მზის ცრემლივით გამიფრთხილდი!
12/IV.2008

ოდა სიმარტოვეს

როგორ ვცოდვილობ გადავრჩე შენში
ტიტანის ჯაჭვის ირიბ შუქ-ჩრდილად,
რადგან არ ვყვირი, სივრცის ბრმა ტილო
სამოთხესავით გადაფენილა იქ,

სადაც მთვარე დაგვაფენს ტალღებს,
გვესმის თოლიის ყრუ შეცხადება,
სადაც ვერ ვპოვებთ ურვას და სალხენს
სიშორეს ვარქმევთ დასაფლავებას

 გაუგონარი სიმძიმის ღვედებს
 ქარიშხალს სულის ჯალათს ვათხოვებთ,
გრძნობის სიმჩატეს ვინ დაგვაყვედრებს?!
ყბედებს მოთოკავთ ის სიმარტოვე,

ჩვენი გულიდან ცას რომ ედება,
თოლიის სუნთქვას რომ ჰგავს ურვებით,
შენი დუმილიც მეიმედება
კვლავ ლექსის ექოდ შევიბურებით

როგორ მწყურია გადავრჩე შენში
თოლიის მსგავსად ზღვას რომ დაჩრდილავს
სიმარტოვეში არა გვყავს ტოლი
ცხოვრება იღბლის საკვამურია

იქ, სადაც ჩვენი ოცნება ივლის
იქნებ ვერ ვპოვებთ სიცოცხლის სახეს,
უფლება არ გვაქვს, იცი, ჩივილის,
თვითონ მივაგნებთ ურვას და სალსენს!

8/IV/2008.

დუმილის პირმშო

დუმილი ასვენია სიტყვის კუბოს,
მზე დაემდუროს პლანეტებს,
დუმილი ესე შენია და არ გეტყვი,
რ ო მ გ ა დ ა ა მ ე ტ ე!
სიყალბე ჩააშენე ოკრობოკროდ
ბოროტზმანებები თესე,
დუმილი უმოწყალოდ შენია და
ნაღველი გაიუკეთესე
დუმილი საზიარო,
გულის სისხლს მოითხოვს,
სიტყვა არ მოითბო,მისხალი,
დუმილის პირმშოვ,შუბლბრაზიანო,
თუ მკითხავ: მზის არა. მიწის ხარ!
27/X.2008

მარადისობის დავრდომილობა

მომცელა შენზე ფიქრმა-წყვდიადმა
ფეხმოუცვლელად მყარდება სევდა,
დიადემების ექო-გირლიანდს
სივრცეს ვანდობ და ოცნებას ვბედავ!

ტროას ცხენივით მზაკვარ ცხოვრებას
გადარჩენილი გემივით ვეტრფი,
თოვლის მზე აწყმოდ მემახსოვრება
სივცეს დალაშქრავს ღრუბელთა ტერფი.
მომცელა შენზე ფიქრ-ნიავქარმა
ფეხმოუცვლელად ხარობს ჭრილობა,
შემისისხლხორცე სანამ აქა ვარ
მ ა რ ა დ ი ს ო ბ ი ს დ ა ვ რ დ ო მ ი ლ ო ბ ა!

6/VI/2008.

სიმარტოვის ფიალა

სიმარტოვის ფიალა
სისხლით აღუვსებელი
მისხალ-მისხალ შეისრუტა განგებამ,

რაც იფიქრე არ მითხარ,
სასიკვდილოდ კი არა
ლხინად უნდა შეიმჩნიო წაგება!

სიყვარულის ფიალა
სისხლით აღუვსებელი
მისხალ-მისხალ შეინივთა განგებამ,
რაც იფიქრე, არ გითქვამს
სალაღობოდ კი არა,
ვნებით დაიდაგება,
რაც არ უფლობს ზიარად!

4/VII/2008.

ტიტანური ლიტანია

არ გავხარ ტიტანს-
უტყვი ნაღველის ლიტანიობა გეავადება,
ღმერთების მაღლობს ჟამი გაქირდავს
ყალბ დროს ემსხვერპლა ცრუ თავდადება

ურაინდობით ნატანჯ მგოსნების
უშვილო მშობლებს ჰგვანან რითმები,
გვშანთავს წყვდიადის გასხივოსნება,
არ ვარსებობთ და რისხვად ვითვლებით!

არ გავხარ ტიტანს-
უტყვი ნაღველის ლიტანიობას მორცხვად ვნებდებით
სამოთხის ბჭესთან ლექსს წესს უგებენ
დრო-ჟამის ქერცლით მსუყე ნეკნები.

მე მაინც დავწერ სისხლიან უსტარს
უღმერთობისა და გრიგალის მტვერში,
და ვისაც გინდა ხმამაღლა უთხარ,
რომ შევებმები სივრცეთა კევრში!

4/VII/2008.

სიყალბის ქნარი

შენ-უსაშველო სევდით განბანილს
სხვისი ჩრდილების სიმძიმე გღუპავს,
შუბლით ეხები გრძნობების გუმბათს,
ჩემს გულს სისხლად ვერ დაეწვეთები!

სხვისი ჩრდილებით ნადილეგარი
განაგდე უტყვი სიყალბის ქნარი,
ზურგს შეგაქცევენ რისხვით ღმერთები
იქ, სადაც უბრად დაეხეტები

შენი ალაგი დროს წარუხოცავს,
გგონია ვინმე მართლა დაგიცავს?
დრო თუ ფსონია, ჯალათი მიწა
ისე ჩაგიკრავს წიაღში ექოდ

ცილს დაგწამებენ: ჟამს გადაეგო,
სიზმრად იგლოვა წყეული თებე,
ვნებებით ჯვარცმულს გაგაღმერთებენ
სოდომ-გომორი, როკვა წარსულის

და შენი ფიქრი, წრეგადასული
სხვისი ჩრდილების სიმძიმით ლპება
და რადგან არ გწამს უტყვი გოდება,

ვერ შემოისწვდები მწვერვალს მკერდამდე,
თავის უფლებას გაუბედავდე
შენივე აჩრდილს-ქაოსის მძევალს,
სივრცის გუმბათი გახსოვდეს, მე ვარ!

7/VII/2008.

ლექსის სიკვდილი

წყვდიადი დგება,
ჩემს სასთუმალთან შენი ხატება სიზმარს გაძარცვავს,
ყულფს ემსგავსება ღრუბლების ბალთა,
ჯვარცმული უფლის ოფლი სდის ვარსკვლავს
სევდა წვიმდება,
ფიქრის კარიბჭეს ფიქრს შეაკლავენ სივრცის ყარიბნი,
როდესაც მიწას გულზე დაიბჯენ,

მოგენატრება სივრცის ყალიბი.
აფრას გამართავ, მზეს ალალ-მართალს
წყვდიად-მდინარეს შემოუმტკიცებ,
თუ გული გიცემს, ზვირთს უთვისტომოს, დატოვებ,
ჩვენ აქ უნდა ვიომოთ!
წყვდიადი დგება, შენს სასთუმალთან
ჩემი ხატება მზეს გააავდრებს,
დროს ეჯიბრება ფიქრი თავნება
უთქმელად ვუწყით სიმძიმის ყადრი!
ბრაზი მკვიდრდება,
უძღებ წარსულის ათინათები ტყვედ ბარდებიან,
რადგან ჩვენს ყოფას უსიტყვოდ ვუძლებთ,
ლ ე ქ ს ი ს ს ი კ ვ დ ი ლ ი შ ე გ ვ ყ ვ ა რ ე ბ ი ა!

15/VII/2008.

ტერენტი გრანელს

მაესტრო! შეუძახე ღრუბლებს,
თვალში წუხს ლაჟვარდის მინორი,
შენს სიკვდილს უფალი დაესწრო,
მწუხრს ერთვის: ''memento mori''

როიალს ასწევს მეკუბოვე,
როიალს - სასაფლაოს სინაზის,
მზის ლოცვებს სიჩუმეს უგროვებ
სევდას ეგებები სინას მთაზე

მკლავებს შეაშველებ ღრუბლებს
თვალებს - საგიჟეთის კოცონს
დარდი მონატრებით დაიუბრებს,
ფერმიხდილს ვარდის თოვა მოგწონს!

შუბლზე ფიფქადნაწოლ ღრუბლებს
ლაჟვარდი ფიქრები ალტობს,
ჯვარცმაა პოეტის აწმყო,
დრო ჰგავს სიკვდილმისჯილ ალბომს!

მაესტრო! შეუძახე ღრუბლებს,
თვალში წუხს ლაჟვარდის მინორი,
შენს სიკვდილს უფალი დაესწრო,
მწუხრს ერთვის: ''memento mori''

2008 წ.

შემართე კითარა!

შემართე კითარა!
ჩემმა ჭადარმა ტანი აიყარა,
მზე არ გაიკარა,
მკლავი მოკვეთეს, ბავშვობა წაართვეს განგებ,
სიცოცხლეს ვწირავ და ყოველდღე სამშობლოს ვაგებ!

შემართე კითარა!
მამული მკვიდრს არა, გადამთიელებს ფულზე,
სისხლი დავაობლო? ღალატი იელვებს,
მრავალთა დაცემას ვუმზერ!

შემართე კითარა!
ჩემმა ჭადარმა ტანი აიყარა,.
მზე არ გაიკარა,
მჯიღი დაიკრიფა გულზე,

შემართე კითარა!
სიკვდილი შემარგე,
მოძმევ, გაყიდულო ფულზე!
29/VII/2008.

უთვისტომო ქართველების გასაგონად

რამდეჯერ უნდა შემოგვითვალოთ
ურცხვი სიმღერა არდაბრუნების
არ გაგამტყუნოთ და ვივალალოთ
ვის, სად რა რჩევა მოეგუნება!

ულაპარაკოდ დავწყდეთ უთქვენოდ
რიხით დაირქვათ ჩვენებურები,
უთანასწორო ომში გაგვთელონ,
აფრიკას შველით ნიკო ბურები?!

წინაპრის ხსოვნას მონის ბორკილით
ზეიმით ვეღარ მოარავაყებთ,
ნუ შეწუხდებით, ყავა სვით დილით,
ვინ დაიჯერებს აქ თქვენს არაკებს!

დედა ნინოს

გრანელის საფლავზე მიგვქონდა იები
შენი ხმა მოჰგავდა კანკელს,
ცხოვრების მორევში ლოცვას ეძიებდი,
ჰპოვებ, რაც ოდესღაც ვკარგეთ!

შენი მონატრება სუნთქვაა ირმების
სივრცის სიფაქიზე გფარავს,
ზოგჯერ წყალობაა ნობათი განგების,
ლოცვის მზე დაქარგავს ბარათს.

ცხოვრების მორევში მოჰგავხარ კიპარისს
შენი ხმა აცრემლებს კანკელს,
მე არ მეგულება აქ შენი მომრევი
ყურს გიგდებ ჩემო და მიხარის!

15/VII. 2008.

ლაშა გახარიას ხსოვნას

დაუსტამბავი, დაულამბავი,
თოვლისმწვერვალა მგოსნის ამბავი,
დაეგრაგნება გულებს სევდიანს,
ავბედით ხვედრს და ნიჭს ზენარსვიანს
შემოასვენებს მეწაღე უბრად
ლექსის თლილ თაღებს შემოექუფრა
მარადისობა-თოვლის გრაცია
კაცის, ვინც ლექსად მობარბაცეა!
დაუსტამბავი, დაულამბავი,
თოვლისმწვერვალა მგოსნის ამბავი.
ბროლსტრიქონების ელვა-მარულა,
ლექსი- ნაკურთხი საბაქართულად!
22/X.2008

ბედი ქართული

რუსულ ჭურვებზე მეტად მაშინებს
შინაგამცემთა ფარისევლობა,
გოლგოთად მაწევს თამარაშენი,
სისხლს ვერ შემიშრობს ,,ზრდილი” ევროპა!

ჰო, რა შორია გმირი წინაპართა
თავგანწირული ჟინი მოგების,
ცრემლს დაულტვია ღვთისმშობლის კალთა,
გაქცევის ნაცვლად ბრძოლა ეგების!

არდაუნჯება, რაც სისხლად მოგვდევს
რკენა ბოლომდე, თავშემართული,
უფლის ცრემლია საქართველომდე,
საზღვარჯვარცმული ბედი ქართლი!

ვის ხელში განვლევთ ათასწლეულთა
სისხლის კალო და ქარტეხილები,
ვის მივათვალო მარცხი ძლეულთა,
მომავლის მზედ თუ არ ვეღირები!

მე აქ სისხლი მდის, შენ გემჩატება
ქართული მიწა, ზურგს მაქცევ უბრად,
ჩემი სიკვდილით რა გემატება?
აქ დარჩი, სადაც დღე მოიქუფრა!

ვაჭრობის ნაცვლად მშობლიურ ცარგვალს
ასგზის აკოცე, ჭირის მნახველო,
აქაურობა ღვთის კვართს წააგავს,
მტერს ნუ ახარებ, შესდექ, ქ ა რ თ ვ ე ლ ო!

29/IX/2008.

ქვიშის საგალობელი

სივრცეა ჩემი ოცნების ძგიდე,
დავიკოცნები ღრუბლის თავშლებით,
გალაქტიკიდან ქვიშა მოვზიდე,
და მისი სუნთქვის ცეცხლში გავშრები!

ზეცაა ჩემი ზმანების სიღრმე
ვემაქმანები ნისლის უნაგირს,
სისხლშიც ქვიშათა სიმძიმე მიღრენს,
სიკვდილთან ცეკვავს მიწა-ბუნაგი!

ცის თავანს, ჩემი ზრახვების ძგიდეს
დავხვდები, ელვის ზიგზაგშხეფებით,
მზის საწნეხელში ჩავწურავ ქვიშას,
სივრცეთა მიღმა კვლავ გავმეფდები!

2/XI. 2008.

დაუმტვრეველი ვარდები

ავადმყოფობენ ლარნაკში
ვარდები, დაუმტვრეველი
შენს გულთან მარადმყოფობენ,
მზეს ღრუბლავ, კათაკმეველი!

თეთრი ფურცლებით ნატაძრი
ფიქრის ნაკაწრი მაგრილებს,
სევდით რომ დავიხუნძლებით,
მეხს ვგავარ ღიმილწაგვრილი!

უსამკაულო სიმორცხვე
ვარდებს მტვრად დაეფინება,
ამ საფლავგულში ხმაურობ,
სივრცემ მოსვლა თუ ინება,
შენს გულისნადებს ვარდების
სისხლი მზედ შეეყინება!
2/XI. 2008

სამოთხის მთვარე

ჰოი, ადამის ძევ, დაუბადებელო,
სულსწრაფ ნიავივით ვარ შენი მხლებელი,
ძევს სულის ფსკერზე სულთქმა უმეტყველო,
შენ გამაძევე და ღრუბლად მივეფრქვევი
ზმანების ხეივნებს,
ბნელს, რომ დახეიბრდეს ქვესკნელი,
რომელიც ცდუნების მახეა!
ზღვის ცრემლად ვემთხვევი
უთქმელს და უსახურს,
შენ უკან დამხიე და ამის გამხელა
მკვდრადშობილ ცოდვაზე
მრავალგზის მდარეა!
შენ მაშინ ბავშვობდი,
ვარსკვლავთ სასახელოდ
თვალი გაახილე: სამოთხის მთვარეა!
წყეული სამოსი სირცხვილს დააქვრივებს
დრო-ჟამის ქვევრებს კვლავ სისხლი სწყურია,
ქვესკნელი გულს გიმღვრევს, დაუბადებელო,
სულსწრაფ ნიავივით ბრმად შემოგევლები,
შეიგნე არა ვარ მე შენი მხლებელი,
სამყაროს სიკვდილი მზითვად მ ა ბ ა დ ი ა!
13/XI.2008

კოსმიური პაემანი

არავინ იცის,
როდის შეხვდება მზე, მთვარეს, როდის?
ვერ შეაკავებ ვარსკვლავთა ლიცლიცს,
ჟამია შფოთის.

ძველმოდურ კავებს, ვერ შეაკვეც
იცი, ურა კვიცს,
გული ჰგავს უწყლო, უჩინო ნაკვეთს
ზედ ფურცლობს მიწა,
და მზის ნაწნავებს დაასაფლავებს
მთვარეთა ქერქი,
შენ ვერ მომგვარე ნისლის კარეტა,
დუმილით მეტრფი.
არავინ უწყის როდის შეხვდება
მზე მთვარეს, როდის?
შენი თვალების კოსმიურ სუსხით
უჩუმრად ვთრთოდი!
ამ სოფლად არა, ვერც იმ სოფლად
ვიგუებ ლოდინს,
ვარსკვლავთა კარავს, დიდგულა მთვარეს,
მზე ხვდება როდის?

16/XII.2008.

* * *

ძნელად შესამჩნევ ნაოჭებს მითვლი
გაუმხელელი ბრაზით ნაძარცვი,
არ გათნევ,
დაგფლავს საწუთროს იფქლი,
საფლავის ბორცვად იგლოვე ღაწვი!

ჯოჯოხეთური დუმილის ყინულს
უმიზეზოს და ძნელადსაჩინოს
ეგზომ მფარველობ
ვით პურს და ღვინოს
დრო სისხლად რომ არ წამოგადინო!
10/XII.2008.

გალაქტიკური ნაღველი

რამდენმა ქარმაც უნდა იქროლოს,
გაზარმაცებულ გზას ვერ განდევნი,
ცივია ფიქრის კორიანტელი,
შემთხვევით ვხვდებით ერთმანეთს მხოლოდ

რა დაშავდება ძველებურ ფრთებით
უდარდელად რომ ჩამოვუქროლოთ
ქარებს, გამვლელებს, სიტყვის ქიმერებს

ქნარდაღუპული დუმილის ფერდებს,
გალაქტიკური ნაღველით კრულნი
უსიტყვოდ გპარავთ სიწრფელეს, ღმერთო!

24/XII.2008.

მიმოზა ცანავას

ყავარჯენს კლავიში შეცვლის,
მარჯნის ტუჩები მღერიან,
დანარჩენს-სევდა კლავს ვისი?
თქვენი ხმა ცისარტყელას მტვერია

სახე ფრესკასავით ბზინავს,
ლოცვა საესავი გიფარავთ,
გულის ჭირხლს ვერ ავნებს ყინვა,
ღიმილით აკინძავთ ბარათს.

სადაც კლავიშები მზეობენ,
მარჯნის ბაგეები მღერიან,
ლექსი გადაგიხდით დღეობებს
თქვენი ხმა ცისარტყელას მტვერია!

25/XI/2008.

წვიმს

ახლა შენთანაც წვიმს,
ცის ბარძიმს დაღლა ემთხვია,
ვერ შესწვდი ვარსკვლავთა ქიმს,
ჩემს სახეს წვეთები ებრძვიან
ჩუმ სულისკვეთებით გალექსილს
არ გწამს ბედისწერა-ტალკვესი,
ჟღერად ფიქრს ცხადში თუ გაწვიმებს
გასწირე, ცის თაღი გასწირე!
ახლა შენთანაც წვიმს,
ცის ბარძიმს დაღლა ემთხვია,
ვერ შესწ
“““ვდი ვარსკვლავთა ქიმს,
დ უ მ ი ლ ს ა ც ს ი კ ვ დ ი ლ ი ე წ ვ ი ა

29/XI/2008.

დედა ნინოს

შენი თვალები მზენასარკი ათონი,
ლოცვით იხარკება სივრცე,
მზის სტალაქტიდს ჰგავს ნაზი მონაზონი,
პოეტს უსახსოვრებს ნარცისებს.

და სული შენი ლაჟვარდს ისალბუნებს
დრო მოიავსულებს ცრუთა,
ცრემლს დაადევნებ უჟამო ფსალმუნებს
უსინათლობა გხუთავს.

შენი თვალები მზენასარკი ათონი
ბნელს დაეკარგება სივრცე,
მზის სტალაქტიდივით ფაქიზი…მონაზონი
პოეტს უსახსოვრებს ნარცისებს.

2009 წელი.

პოემები

შესავალი

ქართლი

თავდაპირველად სისხლის წვიმებს ქართლი იწვნევდა.

ჯერ ქართლი მტკივა. შუაგული მიხმობს, გაწყალებულ სისხლს მიჩქროლებს.

არ ვიქართლელო?

დაუყვედრებლად ვეღარ ვქართველობთ.

სამსალაგარეული აწმყო გოლგოთის აღმართივით უსაშველოდ მძიმეა და ჩვენც ვძაღლვუმადურობთ, ერთმანეთის გაკილვას რომ აღარ ვჯერდებით, საპატრონო მამულს უპატრონო მუმლივით შემოვსევივართ და ფურთხის, უძლურებისა და გინების ნიაღვარში ასგზის უკუღმა ვაბრუნებთ, დაუნანებლად ვაბურთავებთ, ღალატით ვაქუცმაცებთ

თავს როდის გავუტყდებით, რომ სისხლის წვიმებში მოღონიერებული ურწმუნობის მოძალებით ხელში შემოგვაცვდა სამშობლო.

ქართლის მეფე დელი სვიმონ პაპას სწერდა: "ვგონებთ, თქვენც შეიტყობდით, რაოდენი შეწუხება და ტანჯვა გამოვიარეთ, მაგრამ გული მაინც არ გავიტეხეთ.

ჩემს თავს გავწირავ და აგრეთვე ჩემს ყმაწვილ ვაჟსაც, დავღვრი ჩემს სისხლსა, ვიდრე უკანასკნელ წვეთამდე ჯვარცმულის იესო ქრისტეს და ღვთის სიყვარულისთვის; ვიდრე პირში სული მიდგია, ხელს არ ავიღებ ოსმალეთის წინააღმდეგ ომზე, არასოდეს უქმად ვყოფ იმ დაუფასებელ სისხლსა, რომელიც იესუ ქრისტემ დაღვარა ჩემთვის"

უფსკრულნაგები ჰანგები

ისტორიულ-დრამატული პოემა

მოქმედნი პირნი: სვიმინ I ქართლის მეფე, დელი სვიმონად წოდებული, ყორღანაშვილი -ქართველი იუდა,
ჟამთააღმწერელნი ანუ მთხრობელნი.

შესავალი

სვიმონ მეფის (1556-1569 1578-1600) მიმართვა ღვთისმშობლისადმი

სძალო, უსძლოო!
დაიფარე შენი წილხვედრი მიწა მტერთაგან,
მე ამას გვედრი,
ვერ გადამძალოს ჟამმა უდროოდ,
მყუდრო ფიქრები გადავქერცლო, ვითარცა კეთრი,
განვემსგავსო ნავს წუთისოფელს
ჩვენში რომ ბუდრობს!
სძალო, უსძლოო!
ვედრების ხიდი გასდე ჩვენს შორის.
ცოდვა თუ ეშმაკს გადავაბრალო,
ცრემლებს უფლისას რისთვის ვიმკიდით?
გვედრი, ჩვენს შორის გასდე ხიდი,
სანამ სიცოცხლე აშმორდება
უტყვ აკორდებად სიკვდილუფლისა,
ღრუბელი უვლის კრუნჩხვასავით
გულს წუთისოფლის,
დე, მშვიდად ევლოს სისხლ-ნიაღვრებს.
ნუ დამიობლებ რწმენას,

ჯვარცმულ ღმერთთან რომ ევნო!
გვედრი, მიამბე
თეთრი მკლავების გულსაკლავი
გოდება, უფრთო,
ღვთისმშობლის მანდილს
უფრო ცრემლი ყინავს ვარსკლავის.
გვედრი, დამლანდე,
სძალო, უსძლოო!
ვერ გადამძალოს ჟამმა უდროოდ.
ჩემი სამშობლოს ხვედრი
ცხედრად აჩენს ზესთსოფელს,
მხრებზე მოისხი ქართული მიწა,
სისხლმდინარე და დაულეწავი,
უფლის მშობელო!
მხრებზე მოისხი, სულ ერთი წამით,
სძალო, უსძლოო!
ამას გვედრი,
დაიფარე ქართული მიწა, -
კაცთაგან ვნებულ,
შენს მზერაში დაულეწავი!

სვიმონ მეფეს

(მთხრობელი)

ქციის ხრამთან
შენი ჩრდილი ოდეს მჭამდა,
გატეხილი ხმლის ჭრილობად მაჩნდა მიწა,
ქციის ხრამთან
ბედნავსური შეშლილობა
დრო დაირწა,

Johnson – 2009

მტრის მსახური მოიჩქარის,
მზე-უბადლო მოისარი
ნისლის ლანდთან გაიფიცა,
დღე უმადლო
ქციის ხრამთან
მეფე საფლობს ეურჩება,
შენი ჩრდილი ჩემი გულის სამოსახლო
სისხლის შხეფებს უწადილო ამბად ჰყვება!
ქციის ხრამთან
მანდილიანს გლოვობს დროშა,
ტუსაღს გლეჯენ მუნჯი ფიქრის თრიაქები,
ციხის ქონგურს მიაწყდები დელი გურჯი
და ნამდვილი ბრაზი მოჰქუხს უწინდელი!
უმზერ ბექობს,
დრო ტალახის ქებას როშავს
ქციის ხრამთან
გადმოვლახე ცხრა ზღვა, ცხრა მთა,
შენი ჩრდილი აუმხედრდა მაშინ დროს, - შავს,
ხელისგულზე საფლობიდან ამოჭრილი
ცვილის შუქი უღიმილოდ როს თაფლობდა,
არ დანებდი, არ დაუშვი
ასგზის ვნებულ, ჯვარცმული და
სისხლცურვილი ქართლის დროშა!

ყორღანაშვილი

(მონოლოგი)

მე გამუდმებით ვმარცვლავ წარსულს გულის ფიცარზე,
ჟამს განვუდექით, ხელმოცარულს, უფსკრულებიდან.
შენ მიიწევდი ბილიკ-ბილიკ გულმართალად და
ღიმილს გართმევდა დამთხვეული დროის თემიდა!

პირტიტველ ქარაფს ზურგი უღვთოდ დაუძაბუნდა,
გადმოაფარა მზემ ნისლები მთას მეტყველ გუნდად,
აქ სევდა მკვლელობს, მზე გაიტანს სისხლიან ლელოს,
ღალატის ექო დუღს სასიმღეროდ
და ფერხულს უვლის უფსკრულის პირს ცივი ბინდ-ბუნდი,
შევძრწუნდი და ვერ დაგიხსენი ცრუ მტარვალთაგან.
არ გესმის? ვყივი.
თვალს მიეფარენ ავყია და თვალმკორტნი ძენი,
ახია ჩემზე! დაბრძენებულს ვინ აღარ მჯობნის!
შევისისხლხორცე რჯულგამწყვეტი ბნელეთის ფანდი,
ელეთ-მელეთმა დამიარა, წინ გადავქანდი,
შევტორტმანდი, პირქვე დავეცი
უფსკრულის სარქველს შევესისხლხორცე
უნდილი, ბეცი,
აწყვეტილ ქართან ნასარეცლები,
დამხარხარებდნენ ბინდის სამხარზე
სისხლგამოცლილს, გულმხეცი ქვები!
შენმა მოკეთემ ხელი მკრა და
“ – ჰკა მაგას!” – ჭექა,
უფსკრულს გავეგე
ბალანაშლილ ხალიჩად თექის,
დამთხვეულმა სისხლმა იფეთქა!
შენმა მოკეთემ უფსკრულისკენ მიბიძგა ხელი,
ხელი გაშლილი,
ხელმწიფევ, მორჩა მიეთ-მოეთი,
მუხლჩაუხრელ ბრძოლაში გიწვევს
ყორღანაშვილი!
სამშობლოზე არ მილოცია,
ათასგზის უწყი,
მტკვარი, არაქსი, სულერთია,
უწინ და ახლაც,

დახლიდარად დროს ვეხარჯები,
უცხოტომელთა ფარჩებს დავხარბდი,
ჩემი ქვეყანა – შენი ხარჭა, არ მენაღვლება!
მინავლებულ სიცოცხლეს ვტირი,
ხორცი აქ დამრჩა,
ხორცი სისხლში ამოუვლები!
საფლავის ბორცვი, უფსკრულს ზევით
მღიმარი ქვები.
სიცოცხლით მდიდარს გიგალობენ,
მე აქ ვინთქმები!
უიარაღო, ბედისაგან პატივაყრილი
ხელი არ მახლო!
გრილი მიწის არ გითმობ საბანს,
ხელი არ მახლო,
დამთსვეულმა სისხლმა იფეთქა!
ბალანაშლილი ხალიჩა ვარ
უფსკრულში, - თექის,
ქვებო!
ოდესმე მოგერევათ სიკვდილის რული,
ჯერ უფსკრულნაყარ სივრცის თაღზე
მკვიდრად იდექით
ასგზის გაყიდულ მიწის ცოდვით სისხლმოწამლულნი!

მთხრობელი

წარმართები ვიყავით ოდეს,
მაშინაც გვქონდა აღმართები,
ლურჯი სივრცის თაღი მომძულდა!
სულძაღლ მომხვდურის თვითმფრინავები,
გასრესილი ოცნება ქუჯის
დედას მუნჯის ლუღლუღი ესმის,
მაგრამ მოკეთე დედინაცვლად
გაგვიურჯულდა,
დანაცრდა ქართლი!
ურდულს ჭურვის ბნედა დაერთო,
დედა ატირდა,
თავს სად დურთავს ბრბო შიშნეული!
ქართლი ჩანაცრდა!
მძორით მაძღარი ბედი
ჩვენი ტანჯვით გაერთო!
ვილაიეთი, გიურჯისტანი,
გიურზების საკვები მდელო,
ვისზე ნაკლები, სისხლდაცლილი წუხს
საქართველო!
ჩვენ რა ვიღონოთ?
ახალი მოდგმა გამოვიგონოთ?
ნასესხებ მიწით, სულით, გულისთქმით,
ვამრავლოთ მოთქმა,
სიმღერებში ვაქოთ გუმისთა!
ვისაც გაქცევა ესიკვდილება,
ჩვენი ხელით ვწიროთ უფსკრულებს,
კვლავ უმადლოა ქართველის ნება:
ძეგლებს უდგამენ დღესაც ორგულებს!
ჩვენი ხელით ვწიროთ უფსკრულებს!

იხარხარებენ ირონდები, ლეგიონები,
და სახარების შუქით მოსილულს
ბრმა გეგონები!
ძლევამოსილთა საბურთაოდ განაწირები
სიმდაწყვეტილი, ყალბი ლირები
ფულით გულებს ინაწილებენ,
მიწები სხვისი საკუთრებაა,
ურჯულო სისხლით დამიწებულებს
რიდი არა ჰკლავთ უფულოების!
სად ჭვივის ჩვენი უმარილობა,
მოტეხე წვივი,
ჩამოგლიჯე სამშობლოს ქობა,
უსამშობლობა
უცხოეთის ვალად გვეყოფა!
ლურჯი სივრცის თაღი მომძულდა,
სულძაღლ მომხვდურის თვითმფრინავებს
მზე აქანავებს,
მოისყიდეს უეჭველად ესე მნათობიც,
ერი ქსლის მბეჭველ დიაცია,
დაუდგეს გობი საკუთარი
სისხლის სახვრეპად!
აქ უნდა მოვკვდე,
ქართულ მიწაზე აღვესრულო
მეციხოვნე უკანასკნელი!
სასრული მოვვლე, არ შემახო
უცხო დიდებით შესუდრული, გულმჩატე ხელი,
ნიჩაბი დადე,
მზე საკვირველი
სამშობლოსავით დაიმორცხვებს დაუყვედრებლად,
შემომატარე ეს მთა-ველი
მარადისად მოურეველი,

მარადისად ომშეწირული,
თვალშეუვალი სხივის ბინული,
უფლის ნალურსმი ძილისპირული
გალურსული სევდის კირთებით,
არ დაანებო მომხდურს სამშობლო,
სისხლად მოგდევს დანაპირები!

. . .

მთხრობელი

აქ ირწეოდნენ მზეს შეფიცული უფსკრულჰანგები,
დროშას სიმაღლეს ეცილებოდნენ
სკოლის მერხიდან გამოპარული თეთრპერანგები
და ექო სროლის.
შემოდიოდნენ რუსის ტანკები.
სად გაქრა ტევრი მუშტებისა უიარაღო?
დაეცა ბევრი, ჯოჯოხეთის ბჭენი განიხვნა,
ღალატიც იქმნა საარაკო
მოძმის ტყვიებმა ქაშვეთიდან მოკლეს ქალაქი.
შავსისხლი მოდის
სიკვდილის და ჭირის "ბარაქა"
თალხი თვალების, გადაბუგულ ქუჩების ცოდვას
კვლავ ვეწირებით,
სამაგიეროდ ფულს ითვლიდნენ იქ, ვეზირები.
შავსისხლი მოჰქუხს
სიკვდილის და ჭირის "ბარაქა".
საომრად ისევ გაიწყვეტენ სწრაფად არაქათს
პაწინკინტელა ჯალათები სულით ჯაბანნი,
კბილებში ფულის კალათებით იცვამენ კაბას,
უმწეო ხალხთან ლომგულობენ.
მტერთან სწყურიათ კაპას ლაჩრებს უძლურებანი.

ჰოი, რარიგ უყვართ ბარაბა!
ეშმას სვირინგით დაკაწრულებს მიეცით ბანი
ბანგმორეულ ბრბოთა ფიტულებს,
სისხლიან დინგით თავმომწონე სულგაყიდულებს,
წყვდიადგრიგალებს მირიადი ცრემლი დასცვივდა,
მოკლეს ზვიადი, ერს მიუგდეს სისხლის ხმიადი,
ტყვიამფრქვევებით დუდუნებდა მაშინ მთაწმინდა!
თვითმფრინავები უცხოეთში უამრავ წყვილად
მიდგანდგარებდნენ,
გასამდიდრებლად ეშურებოდნენ ყმაწვილები, -
დოლარისა თუ რუბლის ბიჭები, -
დროს ვინც დანებდა!
ტყვიამფრქვევების ჭაპანწყვეტაში
ტელეფონის ხმა ხმაურობდა, ვითარცა ტაში,
თალხმა სიტყვამ გაიწკარუნა: “ – თქვენთან ომია?” –
უმწეო ბრაზის სეტყვამ დამცეცხლა:
ნუთუ ერთი ქუჩის მდომია
ბელზებელიც და ერი სრულიად?!
უმწეობა დაგვიმეზობლდა
ვისთვის ლხინია, ვისთვის ომია,
ქვეყანა თავზე ჩამოგვმხობია!
თქვით, სად დამიწდა
ძველთაძველი ქვეყნის სამანი,
დღევანდელ მზითვით გავიტანოთ
სადამდე თავი?
მწდედ მომავალი დანაკარგი ვის მივათვალოთ?
ზღვა შეცდომები ვივალალოთ, ვკრიბოთ და ვთვალოთ,
თვითგვემური გასხივოსნებით ვემსგავსოთ სალოსს,
ფური დავწიხლოთ, დავისახოთ დრო, უგემური,
იმისთვის ვიშვით, სხვას შევებრალოთ?
დუმილის პეშვივით აგვივსონ პირი?

წამოიმართე, მტრის უბეში სიმწრით ნუ ტირი!
სად გავათენო სულიერი უდღეურობა,
მოქალაქენო, მყეფარე პათოსს
განდგომილნი, ქვეშ-ქვეშად ლპებით?
სისხლი ტანზე შეაშრა ქართლოსს,
თქვენ რიგრიგობით მტერს და მოყვარეს ფეხქვეშ ეგებით!
მყეფარე პათოსს განდგომილნი, საუკუნეა, დაჭაობდით,
და შიშობთ, ვინმე, სამშობლოზე გულმტკივნეული
სიღრმეში არ შემოგეპაროთ!

მთხრობელი

შენ ისტორიის მრუდე მერდინზე
გერის ხვედრი რატომ იტვირთე?
დაფშვენი დღენი ივერიის,
ჯალალედინის ემსგავსე სარტყელს.
ვინ ეტყვის სათქმელს, უსრულ ქაოსს?
დრომ იმეძაოს?!
გადაგიწყვიტეს, სისხლად დააკვდე
სიკვდილის ძგიდეს,
უბეში გველებს ზრდიდე, გებრალვის
კუბოს კარამდე დაჩხვლეტილი მზის მუზარადი,
უფსკრულჰანგების გზაჯვარედინზე ჟამს დაუზავდი?
ისტორიის ყრუ საფლობებში
ლეშის სუნით მთვრალ სვავს მინებდე.
წაგება სრული ძილშიაც მკლავს
და აღარ მინდა, კვლავ ვხროტინებდე,
ვბორგავდე და სულს ვაბარებდე
ნიაღვარივით მოვარდნილ ავსულს!
სულთვმობრძაობდე,
აჰა, დავვარდი, მიმათრევენ სასაფლაომდე!
უცნობ ცხედრების ამოცნობისას

ღმერთთან ვდაობდე, აღარ ძალმიძს,
კალმით დასჯილს სისხლი წამსკდება!
სულის სალმობა მამუხრუჭებს
შევეფარო კლდე-ღრეს თუ ბუჩქებს
და სისხლი მომსჩქეფს!
უპატრონო გმირთა ცხედრების
შედედებულ ცრემლებს ვაგროვებ,
ხროვას ხმას ვინ სცემს უბატონოდ,
დაკოდილ მუხას შუალეწეს ხმელ-ხმელი მხრები,
მკვდრებით ვამკობდით, მზით დაგვქონდა
ჟამი თავთხელი

მთხრობელი

ხუთშაბათობით შეკრებილი
მჭედლების მსხვერპლი
ვიფერფლები,
გართობდი ძვლებით ამირანის,
მონა - მხლებლების.
საკუთარ სისხლს ვყიდდი ნისიად,
ფლიდ მამხილებლებს შევტრფოდი,
მზის შესატყვისია სიკვდილი ფოთლის,
პირმოთნენო, ეს მიწა-წყალი
უმოწყალოდ გაჩუქებული
მარქვით, ვისია?
ვის შევღაღადო, ვემათხოვრო, ველოლიავო,
განიავებულ ეზო-კარის ფართო ნანგრევი
სივრცის ტატნობებს განიტოტებს
ცრემლები ქნარის,
გასხვისებაში, უეჭველად, ვერვინ გვაჯობებს.
არ გვყავს ბადალი გაჯოხვაში საკუთარ თავის,

და გულდედალი ხვაშიადის
დაგვიტანს დარდი, ქართლის დედოფლის პალეკარტი
შემოგვძონძია, სისხლიან ფარდის მიღმა გულს ფლეთს
სულძაღლი ტყვია!
არაქათგაცლილთ ერთჯერადი უცხოურ ვარცლით
ნაჯიჯგნი ხორცის სალაფავი
საფლავად გვიღირს.
ომშეწირულებს რას გვიქადდა ეს წელიწადი!
დროის საცერი ქარაშოტის მკლავივით მდგრადი
გვალვით დაჩაგრულ ტყეებივით გვიალმაცერებს.

. . .

ჩემი თაობა

ტყვიებითა და სისხლქარებით ნაგუნდავები,
უღვთო სიჩქარით დაუმთავრებელ ომში ჩაება!
ორჯერ ჩაეშვა სამარეში,
ცხინვალისა და აფხაზეთის გადასარჩენად,
წინმავალ მამებს,
დასისხლულებს რკინის ხელკეტით
ამოკორტნილი გულ-ღვიძლივით მძიმედ დაეცა!
ჩემი თაობა!
უცხოეთში მამლუქებად გადახიზნული, ჟამმა დალუქა,
სამშობლოს ნაცვლად გულში უდუღს მარცხის ყინული
და არ დამაცდის, მოვიშუშო შიშნაბადი ხვაშიადები,
ახრჩობს ბრაზი, ზღვაში ნაგდები!
ჩემი თაობა!
ნაუცბათევ-გადიდკაცებულ მტაცებელთა უმი მზაობა
თაობების გადაჯიშების,
გაჯირითება გზატკეცილთა, კონტინენტების.
სისხლდაცლილი ომი ბელტების,

უსიტყვო შტორმი ფიქრშემოდგომის, განუკითხავი.
არ უწერია ასრულება “გვეყუდნოდეს ჩვენივე თავი!”
ჩემი თაობა -
ნაცხედრალი, სისხლქარებში ნაგუნდავები,
დაუსრულებელ, უღვთო ომში ორჯერ ჩაება,
ორჯერ მოკვდა და კვლავ აღივსო
დაუშრეტელ სისხლით გრაალი.
გვაღირსე, ღმერთო,
ცოდვა-ბრალის მრღვევი კედელი,
ქართული ცეცხლი დაუმწყვდეველი!
ღმერთო, გვაღირსე ათასწლეულებ-ნაგუბარი
სისხლი შევიშროთ,
მოვითქვათ სული, გლოვაქმნილი და ნატაძრალი!

ყორღანაშვილის მონოლოგი

მეფეო,
პატრონგაორგულებულ ერს რას შეასმენ?
ოქროცურვილი ბორკილები ელაციცება,
ეს მერამდენედ მოუსინჯე კბილი, შიშნეულს
უტყვ სურვილებით გათოშილებს არ ღლით მტკიცება,
სიცრუის არღნით დაყრუებულთ ცრუ ფიცი იპყრობს,
დაპირებებით წარყვნილია მზეთა ქარაფი,
დაგვიწყებია, რომ ოდესღაც ეს ერი იყო,
დღეს მფლობელია საგოდებლის, სევდის, არაფრის!
მე დაგეფერფლე გაწყალებულ სისხლში უნდილად.
სვეუბედური გამოდექი, მეფეო, მეკვლე,
ხალხი გადაყვა პირად საქმეს, სარფიან ნაჭრებს,
გარბიან, სადაც გაუხსნიან კარიბჭეს ფართოდ.
ერი, რომელიც მიწა-წყლითაც ფულზე ივაჭრებს,

ვერ გადარჩება, ფერფლიდან რომც წამოიმართოს!

მე სხვა მოდგმამ მკრა მაშინ ხელი, ხელი - გაშლილი.

ჩემი ჟამია, გმირად მოვედ ყორღანაშვილი!

შენ კი დანებდი უფსკრულჰანგებს, შენ, - დელი სვიმონ,

დე, უკანასკნელ მატიანედ გადაგიწვიმონ!

ეპილოგი

(მთხრობელი)

მეფეო,

დუმხარ უფსკრულჰანგივით,

ხრამში ჩაინთქა ჩანგი, მოწმე ძველ გმირობათა,

ეშმა ზეიმობს ჩვენს წყეულ გვამში

ავბედითობ და აღარ მოგვმართავ,

მეფევ,

პირშავად გეჩვენები,

არ უჩანს ბოლო ყორღანაშვილებს,

სამშობლოს ზიზღით ბალანაშლილებს!

ჰა, მომიმზადეს მორიგი სირჩა,

ქარაფებში ჩავესვენები,

ჯალათთა რიგში ჩამქოლავენ წყევლით, ქენებით.

ჰაუ, რარიგად დამენანები,

ურჩი მძევალი უფსკრულჰანგების!

აუგს ნუ მეტყვი, გამომადევნე . . . თვალი,

გაამთელე სუნთქვა მომავლის, - ჯიბრზე განგების.

აბსოლი - 2009

თუმცა, არ უჩანს ბოლო ურიცხვ ყორღანაშვილებს
და ვგავარ ჩრდილში საპატრონო გერს თუ ნაშვილებს,
ახალგამომცხვარ პურის ცრემლად შემოგერევი,
ამ სისხლჩაქცეულ მარჯვენასაც შემოგაშველებ,
შემომიშენე უკვდავების უფსკრულჰანგები,
ქართული სულის ციხე-ბურჯი ზედ დამაშენე!

4/ 13 / XII 2008

ღრუბლების მისამღერი

(პოემა)

ღრუბლებო,
მთვარეთა რძით დახუნძლულებო,
შორეულ მხარეთა მძევლებო, გასწით!
ღრუბლებო,
ელვათა ცრუ მოსანგარეთა ჯიბრზე
ეს პლანეტა დასაჯეთ, გადაწვით!
და აი, ამევსო ფიალა თმენისა,
ჟამთან მოყიალე, ვჩქარობ,
ზეცის ნატერფალთა მბორგავ კრატერთა
ცეცხლს გადავაბარებ ქარონს!
ეს ცოდვა-ბრალია, სუნთქვას რომ მითოვლავს,
აღსრულდეს მითების ნამქერი,
გალაქტიკები ღამეს რომ მითევდნენ
ქვიშის ვარსკვლავის სრბოლას
თმები, ჩემი თმები შეაყოვნებდნენ.
ვზვირთდები, კოსმოსი ხრჩოლავს!
ღრუბლებო, პოეტთან დაუბრებულებო,
მოგიხმობთ გრიგალთა არფით,
ვარსკვლავთა კალთა, მე რომ მიყვარდა,
სავსეა მართალთა ზაფრით.
არ გავთქვამ წარღვნათა
კისკისს თუ მუქარას,
ვისთვის ვიტანჯებით მარად?
ვინ დაასამარა ფერფლი უმადურთა,
ვინ მიდის სამოთხის კარად?
აღმოფხვრის საწუთრო ბინდებს გალაქტიკის,
ვის დავესაკუთრო? დრო ისევ მიფლიდებს,
ვბრბოვდები, ღრუბლებო, მძევლებო კოსმოსთა,
ქვენა ქვესკნელებში უხმოდ დავმიწდები,
თქვენთან აღარ მინდა მოსვლა!
ქვიშის კრატერებში უხმოდ დავმიწდები,
თქვენ თავს დაგატყდებით მგოსნად!
რამდენ გამოცდას გავუძლო უძლურმა,
ვის ქვესკნელს ვექმნა ლუკმად?
ლუსკუმ წყვდიადების ფარდებს ვრეცხავდე
შეურაცხადი ჟამთა.
ღრუბლებო, აცხადდით, მოინაპირეთ

დირე, - თვალს რომ ჭამს სხვათა,
ხამ პერანგების უმადურ მესტვირეს
აუწყეთ სიმძიმე ბრალთა!
მტრის ცოდვას მე ნუ მომათვლით ეგზომ,
ვის შური ეგზნო, მან ზღოს!
სახეს შევუშვერ ვარსკვლავთა შმაგ თქორს
და შენ ჩაგბარდები, ღმერთო!
სიტყვა თუ მკვეთრობს, გული აღსავსეა
მთვარიან ცრემლით და ქვიშათა მინდვრებით,
კაცთაგან ოტებულ არ გავბოროტდები
და უსაშველოდ ამიტომ ბრწყინდები!

* * *

ვის დავესარკე,
დედამიწას თუ გალაქტიკებს?
დღეს ვინ გაარკვევს ქარიშხალთა თმაში დრო მიბნევს?
თუ საწუთროთა ნამანძილარს, ფიქრს მართმევს დილა,
ვის წიაღს ვიშვი, იქნებ ქვიშის სამკვიდროდ ვქმნილვარ?
ვის დავესარკე,
მოშრიალე ხომლებს ვარსკვლავთა?
იხუვლებს სისხლი, მზემ თუ იალა,
ვუმღერებ ღრუბლებს,
ცამ ქვესკნელი გაატიალა,
უბერებელ ღრუბლებს ვუმღერებ!
ყრუდ მიმიზიდავს გალაქტიკის ცივი რეფრენი,
მოუსარკავი, ავად ლივლივა,
რარიგ ცდებოდა, ვინც მახვილთან გამაიგივა!
არ ვითხოვდი პირფერთა ოდებს,
პორფიროსანთა რიგებიდან ვინმე მიცნობდეს,
უყოყმანოდ დავმარცხდებოდი!
სიკეთე მუდამ გულისტკივილობს,
მე გადავფერთხავ დედამიწას - ქვესკნელის ჭილოფს,
ღრუბლებო,
ისევ გიჭირისუფლებთ,
ვისაც გულს უფლეთთ, არ შობილა, დაობლებულნო!
სევდა მუდმივი, აბრეშუმივით მიირხევა ცის კაბადონზე,
სამყაროს რღვევა მე ვარ შენი დაცემის მომსწრე!
გუნდრუკსაც უკმევ პირფლიდ მწვალებლებს,
ფერფლით უკმეხობ, გულმართალთან გაიმწვერვალებ!
როდის მომპარე თავმდაბლობა, ენასხმარტალავ,
უჩინო ჭირად სად ჩაბუდდი, პატივმოყვარე
უსაშველოდ, უმძვინვარესად,
ალესილ ქვემძრომს გიწოდებდა ადრე არესი,
გალაქტიკების ციურ გუგუნს უხმოდ გასრესდი
რომ დაგცლოდა,

უძლეველ რომს წინ წაიმძღვარებდი, ქვესკნელთა ცოდვავ!
ღრუბლებო!@
კაცთა მოდგმისაგან შემოუვლებო,
გასცდით კაბადონს,
მაცხოვრის გარდა მზეც ვერ იტანს ჟამის მარათონს!
ეკვეთეთ არესს,
ეს სამყარო გაიმყინვარეთ,
ვიდრე ზეცა ქვესკნელსაც გასრესს!
მე, ალბათ, აღარ გემახსოვრებით,
დრო-ჟამის შარბათს დაწაფებულნი
მზესაც უომრად დახარბდებით,
სამყარო ესე გაიმყინვარეთ, ეკვეთეთ არესს,
ვიდრე სივრცე მიწასაც გასრესს!

* * *

აღწერეთ, ღრუბლის ფოლიანტებო,
დროს დაემართა სიტყვის ანთება!
აღწერეთ, სული ვის მივანებო,
ჰერეთს შემკული სისხლმდინარება
მოიწევს, როგორც ქვიშის საბელი,
გადაუბმელი პლანეტის ღერძზე,
ყალბ ვაი-ვიშის აპეურები
ხორუმს ცეკვავენ კოსმოსის მკერდზე!
გამიხსენებენ ათასწლის მერეც,
გამიხსენებენ, რამე რომ მავნონ,
უჭკნობ გრძნობებზე ასიმღერება
არ გიწერია შენ, ჩემო თავო!
აუხდენელი ოცნების ხომლთა ციმციმში
ისევ ეულად თბები,
წარმავალ ვნების ბინძურ აღლუმზე
გამსრესენ ყალბი ანათემები!
გამიხსენებენ, რომ მიბოროტონ,
სიკეთისათვის დამსაჯონ ასგზის,
მზის საყურეა აქ ჩემი ფოტო,
ნატანჯი სული - გრაალის თასი!
ღრუბლებო, შმაგად მოლუღლუღენო,
გაეშმაკებულ დროს რას აფერხებთ?
ქარსაც არ შია თქვენი უღელი,
დედამიწაა მთვარის საფერფლე,
როდის მოირგეთ ელვის არშია?
დაენარცხებით ქვიშრობის როდინს!

* * *

გულს ჩრდილავს წელთაღრიცხვა ქვიშის,

არ ვგავარ მორჩილ კრავს, აღრევა მიჭირს
მუდამ აღრენილ მედროვეებთან.
მინანქარებთან მიმაქანებდა დაუვიწყარი ჟამი კლავიშის,
გამოაცალეთ ქვიშას ნეკნები, ახალბედა ცისარტყელებო,
ზამთარს მარხავენ შენი ხელები,
ხამს, მთვარის სევდა უბერებელ მზეს დააბედო!
გულმოწყალება დაადევდნე ზოგჯერ სიჩუმეს,
ღრუბელთ ჯოგებს მზე დაამთქნარებს,
ნასაწუთრალი ადამის მოდგმა დავინარჩუნე!
ღრუბლებო,
ელვას, - თქვენს შვილობილს, - მიდით, უთხარით,
კიდით კიდემდე განფენილი
კოსმოსის ხვედრს როგორ ვტიროდი!
მთვარე როგორ გამოვიზამთრე,
ღრუბელთა ცრემლით გავამთელე სივრცის ყავარი,
კენტად ძგერს გული, რეტდასხმული, ნავარსკვლავარი.
ადამის მოდგმით გათვალული გული დაღრუბლავს
გალაქტიკის ნამცეც ღიობებს,
მთვარის ღიმილით დაღუპული უსიტყვოდ გამცემ,
დღენიადაგ სხვისთვის იომებ!
სადაც მზერით წყვდიადებთან დავიდარაბობ,
მზის დარაბები ზვიადდება,
დიადემაზე არ მრჩება თვალი
უმოწყალო დუმილთმესიტყვევ,
უსიყვარულოდ გავლეწო კალო?
გალაქტიკის იდუმალ შუქს მაინც შევიმთხვევ!

* * *

უავტოგრაფო წიგნივით ჩუმად
შენს გულში გავჭრი ბედნავს კალაპოტს,
გაგხედნავს დრო და აღარ მომმართო, -
ჩემში ხომ ქვიშამ გაიჩუქურთმა!
სურვილთა ხომლი, სისხლით ნაძარცვი
საწუთრო ქვიშის თუნგით მოვლიე,
თავისქალაზე ვროკავდი ფარცას,
ვცან სივრცეების გაროკაპება,
ცა გალაქტიკის რძით დაიცარცა!
მადროვე, ოდნავ ვიწელიწადო,
განვივრცო, ვცოდო მატერიკამდე,
ავკამკამდე და ვარსკვლავთა ბადე
შევმუსრო, შენი სისხლი რომ მწამდეს!
ღრუბლებო, მთვარის ანარეკლებო,
უშრობ ჟამთა სვლას ვეციგლიგები,
ელვის ციგებით შევისუდრები,
გალაქტიკების თაღს მივეხლები!
აგარონინებ, აგაზიგზაგებ,

ზიზილ-პიპილი უხდებათ კნინებს,
წაგაგებ აზიზ ოცნებასავით
უწინ ვქუხდი და ახლა მაძაგებ?

* * *

უწინ ვქუხდი, დღეს დავიმდუმარებ
უკოცნელ ბაგეს უსძლო ბინულით,
უჩუმრად ვფურცლობ მზით მოსილული,
შეუცნობლობის ლოცვას ვღაღადებ;
უსაყვედურო, ობოლ მოტივის
გადავეგები მხოლოდ ქაღალდებს,
უთავბოლობდი სურვილთმიგების
უჟრუანტელო, ხმელ-ხმელ გეგმებთან,
პირმშო ჟამდამწვარ გალაქტიკების
გაგთელო?
წესით უნდა გეღმერთა, გეფაიტონა,
ხმალდახმალ გევლო
უფარისევლოდ, დრო-ჟამის ქანდაკს,
ცხოველმყოფელი სხივების კონას
სიკვდილის მსგავსად გედარდიმანდა!
უწინ ქუხდი და საჩრდილობლიდან
სულ არ უხმობდი სტუმრად თანატოსს,
ფურცლის სამიზნევ, დრო გაგეხუმრა,
უჩვენოდ კოცნის სივრცეს ორბიტა!

* * *

სტოკატო
ღრუბელთა შორის აღმოჩნდი მარტო,
დრომ თუ გიელმა,
დაგგესლეს ნისლის მორიელებმა,
ვერან-ტიელმა ფიქრმა გიშიშვლა,
შემოგეჩვია სალმობასავით ჟამის მბასრავი
სიდიდე - ქვიშა
სტოკატო
ღრუბელთა შორის ქვიშა დავბადო?
ამ მიზეზით ავითვალწუნე ჩაუმქრალბინდი
უგერგილოთა,
სისხლით ვარ კრეზი, მთვარემ ფიქრში გამიჩაუქა
დაუმცხრალ შემწედ,
ჭკუიდან შემშლელ სიმარტოვეს ელვით გილოცავ!
სტოკატო
ღრუბელთა შორის აგიზგიზდა დუმილის სალტო,
ვარსკვლავთა მიზგითს მთვარე წყნარად ელაციცება,
ჯვარზე გააკრავ ჩემს ელვა-ბარათს,

ოღონდაც სხვისთვის, სიმარტოვისკენ მიგაგელვებს
გალაქტიკის ციურ-დინება!

* * *

ჰოი, მშვიდობა ჩამოიქცა, ჩამოიღვენთა
უღრუბლებო ქუთუთოებზე.
ამ დროის შვილი ვინ დამარქვა?
უუფლებო გავთითოვდი,
მიმიშვით ღმერთთან!
შუბლზე დამადნა ცა - ჩვილი თოვლი,
აღარ დაკერდა დედამიწის გვამი სამადლოდ,
ნაღარას დასცემს უხილავი, სამგვაროვანი,
ვინც არ იკადრა მნათობების შუქურ-ამალა,
ყირამალა გასროლილ კადრებს ეწირებიან თაობები,
დამთხვეული გალაქტიკების მშვიდობა მოკვდა!
შურის მიგების ჟამი ქუფრობს,
სივრცის კუბო კრულვას გითვლით ქვესკნელებიდან,
გინატრებ უფრო, და კვლავ რთულ არს, ამოგძირკვო,
შენით ვტკბები და უთვალჩინო ჟამის მარულა
გალაქტიკების რისხვას უნდა გადავურჩინო!

* * *

თავს წავიწყმიდავ წარსულის ქექვით,
ჩემო იღბალო, უიალქანო,
მიწყივ ღრუბლების გულისფეთქვაა
გრიგალნალეწი სევდის ბაქანი,
დაქანდი, სადაც ბრძოდა წარსული -
ბროწეულების სუნთქვანაპარი,
ჯამბაზის როლს ვერც ახლა ვასრულებ,
ცისარტყელა ვარ ქვიშანაყარი!
ზრდასრულობს სევდა უიალქანო,
წუთისოფელი დავალს შილიფად,
დავარის წყევლა ვიდასასრულო,
სიზმარში ვიქცე სასურველ ნიმფად?
ღრუბლებო, ზღუდეშემოუვლებო,
სიკვდილმა ვინ არ გაანატიფა!
ვის არ წაჰგვარა ღირსების ფთილი,
არ დაუბნელა რწმენის კამარა,
აგემა სევდა ასგზის ნამდვილი,
ბრძენი შლეგივით აასაპყარა!
რეგვენს ვერ ავნო, აწუთისოფლა,
ააგრიგალა, გაანავარდა,
მავანო, შესვი ღრუბლის ფიალა,
სანამ იქცევი ეკლად ან ბარდად!

ღრუბლებო, ელვას ცა რომ დაეკლა,
დრო მაინც უნდა გაიქარავნო!

* * *

ღრუბლებო,
სიკვდილს ვერ დავასწარი ასიმღერება!
გარეწარივით ვივლტოდი,
სხეულს კრავდა დროის ზეწარი,
მახრჩობდა შფოთი,
სიკვდილის გზა, გაულეწავი
გალაქტიკების მიღმა დავრჩი მოუნათლავი!
ვუმღერებ ღრუბლებს,
უბერებელ ღრუბლებს ვუმღერებ,
სასიკვდილოდ გადავდე თავი,
თქვენ მაინც უწყით,
დავრჩები სხვისგან განუმარტავი,
მედროვეები ხელების ფშვნეტით გამფატრავენ,
ღრუბელთა შორის აღმოვჩნდი მარტო,
დამგესლეს ნისლის მორიელებმა,
ვერან-ტიელმა ფიქრმა მიშიშვლა,
შემომეჩვია სალმობასავით
ჟამის მბასრავი სიდიდე - ქვიშა

4/XII-2008
12/III-2009

სარჩევი

წინასიტყვაობა;
ქართული მზერა;
ქართული სული;
მზის პეიზაჟი;
სერაფიტა;
* * * (ახლა გავიგე);
მე და ყივჩაღი;
XXI-ე საუკუნის თბილისი;
ნამდვილ ქართველებს;
ავტოპორტრეტი;
ტელემაქეს პასუხი ოდისევსისადმი;
სალაღობო;
გურიას;
ძველ მეგობრებს;
* * * (მე შენი სული მეგონა არფა);
ჩემი წიგნები;
სიმონ ჩიქოვანს;
ქართველს; .
დაბადება - (ეძღვნება ჩემ ვაჟს ავას);
ზამთრის პეიზაჟი;
შავლეგოს (ჩემ ვაჟკაცს - შალვას);
თარიღი;
დილის პეიზაჟი (ჩემ - შალვას);
უკბილო საუკუნე;
ზამთრის პეიზაჟი;
მართა;
პოეზია;
ვინ ვარ?;
მზის საფლავი;
მთვარე;
ქართული ფიქრები;
გამოხმობა წარსულიდან;
* * * (მზის ნანისლ ტილოს);
* * * (ხმელეთის მიღმა);
ქართლის ჭირი;
საქართველო;
შენ ხარ ვენახი;
შემთხვევითი ჟამი;
პოეტებს;
მე დავიტირებ ქალაქს;

საწუთრო;
მგოსანს მშობლიურს (შალვა მჭედლიშვილს);
ალკეოსი საფოს;
მოგვთა ვარსკვლავი;
ტრიპტიქი;
სიმართლის ექო;
უფსკრულნაგები ჰანგები;
შვილებს;
იაზონის სიმღერა;
ფერი კოსმიური;
* * * (მონატრებული სახლის გზისპირთან);
პოეტის ხმა;
* * * (უფლება არ გაქვს თქვა);
* * * (გამომიწოდე მერჯვენა);
* * * (შენ ახლა ზღვაზე გულთამპყრობელობ);
მაღაზიაში წიგნების (X -ს);
იდუმალება;
* * * (რა ხანია ტირიფივით);
* * * (პოეტი საზარბაზნე ხორცია);
საზღვარი;
მიმართვა დედას;
ქვიშის სიმფონია;
საუკუნის ხელშეკრულება;
ლექსისადმი;
სიყვარული;
დედას;
* * * (სად ჩაიკარგა ჩემი ხმა);
* * * (ავგაროზივით ჩამომეღრუბლა);
მითრიდატესთან;
* * * (როცა ჩემს სახეს არ სცალია გასაშუქებლად);
სიჩუმის სპეკალები (გალაკტიონისებურად);
ყიოდა ჟამი;
* * * (უკაცურ კუნძულს);
კოსმიური სივრცე;
შალვა მჭედლიშვილის ხსოვნას;
მარადიული იავნანა;
იდგა ფარსმანი;
მტრების გასაგონად;
დერვიშის წერილი;
სიმარტოვის სიმფონია;
ოდა სიმარტოვეს;
დუმულის პირმშო;
მარადისობის დავრდომილობა;
სიმარტოვის ფიალა;
ტიტანური ლიტანია;
სიყალბის ქნარი;

ლექსის სიკვდილი;
ტერენტი გრანელს;
შემართე კითარა;
უთვისტომო ქართველების გასაგონად;
დედა ნინოს;
ლაშა გახარიას ხსოვნას;
ბედი ქართული;
ქვიშის საგალობელი;
დაუმტვერელი ვარდები;
სამოთხის მთვარე;
კოსმიური პაემანი;
* * * (ძნელადშესამჩნევ ნაოჭებს მითვლი);
გალაქტიკური ნაღველი;
მიმოზა ცანავას;
წვიმს;
დედა ნინოს;
პოემები:
შესავალი;
უფსკრულნაგები ჰანგები (ისტორიულ-დრამატული პოემა);
ღრუბლების მისამღერი.

იკა ქადაგიძე

უფსკრულნაგები ჰანგები

2009

რედაქტორი:	მარსიანი
მხატვარი:	მარსიანი
ტექ. რედაქტორი:	ზაზა მჭედლიშვილი

ფასი სახელშეკრულებო

ელ. ფოსტა: diaokhi@hotmail.com

ღრუბელთა შორის ალმოვჩნდი მარტო,
დამგესლეს ნისლის მორიელებმა,
ვერან-ტიელმა ფიქრმა მიშიშვლა,
შემომეჩვია სალმობასავით
ჟამის მგასრავი სიდიდე - ქვიშა...

ი. ქადაგიძე